



საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები

2017 წლის 18 – 21 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო

პროგრამა და მოხსენებათა თეზისები

International Scientific Conference

Research in Source-Studies and Historiography

October 18 – 21, 2017, Tbilisi, Georgia

Program & Paper-Abstracts

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
Commission for Georgian Historical Sources

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
Ivane Javakhishvili Institute of History & Ethnology
Department of Medieval History of Georgia & Source-Studies

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები

2017 წლის 18 – 21 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო

პ რ ო გ რ ა მ ა დ ა მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა თ ა თ ე ზ ი ს ე ბ ი

International Scientific Conference

Research in Source-Studies and Historiography

October 18 – 21, 2017, Tbilisi, Georgia

P r o g r a m & P a p e r - A b s t r a c t s

თბილისი
2017
Tbilisi



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
Georgian National Academy of Sciences



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

კონფერენციის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია (თავმჯდომარე: აკადემიკოსი როინ მეტრეველი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება (გამგე: პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი). ორივე ეს უჯრედი წლების განმავლობაში ინტენსიურად თანამშრომლობს და მათი ძალისხმევით არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული კონფერენცია იქნა ინიცირებული და წარმატებით ჩატარებული გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული. ამ თანამშრომლობას საფუძველი ჩაუყარეს აკადემიკოსმა შოთა ძიძიგურმა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა რევაზ კიკნაძემ.

The initiators and organizers of the conference are *Commission for Georgian Historical Sources* at the Georgian National Academy of Sciences (Chair: Academician Roin Metreveli) and *Department of Medieval History of Georgia & Source-Studies* at the Ivane Javakhishvili Institute of History & Ethnology of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University (Head: Professor Mariam Chkhartishvili). Both these academic bodies intensively collaborated during many years and in result of their joint efforts many conferences were held. The ground to the fruitful cooperation was laid by the Academician Shota Dzidzigiuri and Doctor of Sciences in History Revaz Kiknadze since 1970s.

საორგანიზაციო კომიტეტი

თავმჯდომარე: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი

წევრები: ზაალ აბაშიძე, გონელი არახამია, ფელიქს კალანდარიშვილი, ბუბა კუდავა, ზურაბ თარგამაძე, რუსუდან ლაბაძე, დავით მერკვილაძე, სოფიო ქადაგიშვილი, გურამ ქარდავა, მარიამ ჩხარტიშვილი, ეთერ ცერცვაძე, ელზა ხაინდრავა, ლაშა ხართიშვილი, თემო ჯოჯუა

Organizing Committee

Chairman: Vice-President of the Georgian National Academy of Sciences, Academician Roin Metreveli

Members: Zaal Abashidze, Goneli Arakhamia, Mariam Chkhartishvili, Temo Jojua, Sophio Kadagishvili, Phelix Kalandarishvili, Guram Kardava, Elza Khaindrava, Lasha Khartishvili, Buba Kudava, Rusudan Labadze, Davit Merkviladze, Zurab Targamadze, Eter Tsertsvadze

საერთაშორისო სამეცნიერო საბჭო

როინ მეტრეველი (საქართველო), გიული ალასანია (საქართველო), გონელი არახამია (საქართველო), ივან ბილიარსკი (ბულგარეთი), ვერნერ ზებტი (ავსტრია), ანდრეა კარტნი (იტალია), რიჩარდ კულეშა (პოლონეთი), ალექსეი ლიდოვი (რუსეთი), ჰაირაპეტ მარგარიანი (სომხეთი), მარიამ ჩხარტიშვილი (საქართველო)

International Scientific Committee

Roin Metreveli (Georgia), Giuli Alasania (Georgia), Goneli Arakhamia (Georgia), Ivan Biliarsky (Bulgaria), Andrea Carteny (Italy), Mariam Chkhartishvili (Georgia), Ryszard Kulesza (Poland), Alexei Lidov (Russia), Hairapet Margaryan (Armenia), Werner Seibt (Austria)

პროგრამა

Program

მისამართი Venue

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
რუსთაველის გამზირი 52, III სართული, სხდომათა დარბაზი
Georgian National Academy of Sciences
52 Rustaveli Ave., Floor III, Conference Hall

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
უნივერსიტეტის ქუჩა 2, კორპუსი 11, შეხვედრათა ოთახი
Ivane Javakhishvili Institute of History & Ethnology
University Street 2, Campus 11, Meeting Room

რეგლამენტი Time Limits

მოხსენება	15 წთ
კითხვები	5 წთ
დისკუსია სხდომის ბოლოს	20 წთ
Presentation	15 min
Questions	5 min
Discussion at the session end	20 min

2017 წლის 18 ოქტომბერი
October 18, 2017

11.00 – 12.00 **მონაწილეთა რეგისტრაცია**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
Registration of the Participants
Georgian National Academy of Sciences

სხდომა 1

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

Session 1

Georgian National Academy of Sciences

12.00 – 13.00 კონფერენციის გახსნა
შესავალი სიტყვა – აკად. *როინ მეტრეველი*
მისალმებები
Opening of the Conference
Welcoming Speech – Acad. *Roin Metreveli*
Addresses

13.00 – 13.40 წმინდა სივრცეები როგორც ახალი საისტორიო
წყარო. ჰიეროტოპიული მიდგომა
ალექსეი ლიდოვი
Sacred Spaces as a New Historical Source: A Hierotopic Approach
Alexei Lidov

13.40 – 14.00 დისკუსია
Discussion

14.00 – 15.00 **კონფერენციის მონაწილეთა და სტუმრების მიღება**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
Welcome Party for the Conference Participants and Guests
Georgian National Academy of Sciences

სხდომა 2

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
თავმჯდომარეები: *გიული ალასანია* და *გონელი არახამია*

Session 2

Georgian National Academy of Sciences

Chairs: *Giuli Alasania* & *Goneli Arachamia*

15.00 – 15.20 შუა საუკუნეების საქართველოში საისტორიო მწერლობის
პრინციპებისა და პრაქტიკის ზოგი ასპექტის შესახებ
მარიამ ჩხარტიშვილი
Discussing some Principles and Practices
of History Writing in Medieval Georgia
Mariam Chkhartishvili

- 15.20 – 15.40 „ქართლის ცხოვრების“ დადიანისეული ნუსხის შესწავლისათვის
გონელი არახამია
 On the History of Dediani’s Copy of “The Life of Kartli”
Goneli Arakhamia
- 15.40 – 16.00 ლეონიდასი. მითი და რეალობა
რიჩარდ კულეშა
 Leonidas. The Myth and the Reality
Ryszard Kulesza
- 16.00 – 16.20 სპარსეთსა და საქართველოს შორის
 თანამშრომლობის ზოგი მაგალითი
გიული ალასანია
 Some Examples of Cooperation between Persia and Georgia
Giuli Alasania
- 16.20 – 16.40 სეფევიდური ირანის ზიმი სომეხი ქვეშევრდომების
 უფლებები და მოვალეობები მატენადარანში
 დაცული სპარსული დოკუმენტების მიხედვით
კრისტინ კოსტიკიანი
 The Rights and Duties of Zimmi Armenian Subjects of Safavid
 Iran according to the Persian Documents of the Matenadaran
Kristine Kostikyan
- 16.40 – 17.00 დრო როგორც კვლევითი კატეგორია მემუარული
 წყაროების სანდოობის შეფასებისათვის. მოსაზრებანი
 მეცხრამეტე საუკუნის ზოგი პოლონური მემუარის შესახებ
იოლანტა სიკორსკა-კულეშა
 Time as a Research Category in the Assessment of the Reliability of a
 Memoir Source. Notes on some Nineteenth-Century Polish Memoirs
Jolanta Sikorska-Kulesza
- 17.00 – 17.20 ს. გმელინის საველე ჩანაწერები, როგორც საისტორიო
 წყარო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შესასწავლად
გოჰარ მხითარიანი
 Путевые заметки С. Гмелина как источник
 для истории восточного Закавказья
Гоар Мхитарян
- 17.20 – 17.40 წარსულის გამოყენება და პირველი მსოფლიო ომის
 მახსოვრობა ევროპის სხვადასხვა რეგიონში
ანდრეა კარტენი
 The Use of the Past and the Memory of the
 Great War in Different Regions of Europe
Andrea Carteny

- 17.40 – 18.00 ქრონიკისა და ისტორიის ცნებების გამოკვლევა დანტოს „ისტორიის ანალიტიკური ფილოსოფიის“ მიხედვით
კამრან რეზაი
An Investigation on the Concepts of Chronicles and History according to the Danto's "Analytical Philosophy of History"
Kamran Rezaei
- 18.00 – 18.20 დისკუსია
Discussion
- 19.00 – 22.00 სოციალური პროგრამა უცხოელი მონაწილეებისათვის
Social Program – Tbilisi by Night

2017 წლის 19 ოქტომბერი
October 19, 2017

სხდომა 3

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
თავმჯდომარეები: *მარიამ ჩხარტიშვილი* და *გიორგი ჭეიშვილი*

Session 3

Ivane Javakhishvili Institute of History & Ethnology
Chairs: *Mariam Chkhartishvili* & *George Tcheishvili*

- 10.00 – 10.20 ქართული წარმართული პანთეონის კვლევისათვის
მაია კუთათელაძე
For the Study of Georgian Paganism
Maia Kutateladze
- 10.20 – 10.40 ქართლის (იბერიის) პირველ ქრისტიან მეფეთა დინასტიური პრობლემები (ამიანე მარცელინესა და ქართული წყაროების მიხედვით)
გივი ბოლქვაძე
The First Christian Kings of Kartli (Iberia) according to Ammianus Marcellinus and Georgian Sources
Givi Bolkvadze
- 10.40 – 11.00 ჯუანშერისეული (არქაული) „ქართველთა ცხოვრება“ და მისი მოცულობა
მანანა სანაძე
The Ancient Georgian Chronicle by Juansheri and its Chronological Boundaries
Manana Sanadze

- 11.00 – 11.20 სახელმწიფო ტერიტორიის აღქმა „ქართლის ცხოვრების“ უძველეს თხზულებებში
გიორგი ჭეიშვილი
Perception of the State Territory in the Oldest
Compilations of the Collection “The Life of Kartli”
George Tcheishvili
- 11.20 – 11.40 მიქაელ ფსელოსი სვიმეონ მეტაფრასტის შესახებ
ეკა ჭყვიძე
Michael Psellos on Symeon the Metaphrast
Eka Tchkoidze
- 11.40 – 12.00 ილხანთა რელიგიური პოლიტიკა ქრისტიანულ აღმოსავლეთში მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში
გორ მარგარიანი
Религиозная политика Иль-ханов и Христианский
Восток во второй половине XIII века
Гор Маргарян
- 12.00 – 12.20 არარატის ქვეყნის ორბელიანები
ჰაიკ ჰაკობიანი
The Orbelians of the Country of Ararat
Haik Hakobian
- 12.20 – 12.40 თეიმურაზ I-ის პოემა „ქეთევან დედოფლის წამება“, როგორც საისტორიო წყარო. ქართულ–სპარსული ურთიერთობების ერთი ეპიზოდისათვის
თეა ქართველიშვილი
The Poem “Martyrdom of Queen Ketevan” by
the King Teimuraz I as Historical Source for Study
of History of Georgian–Persian Interrelations
Tea Kartvelishvili
- 12.40 – 13.00 ეკონომიკური ტენდენციები ქართული ნაციონალიზმის იდეების ფორმირების პერიოდის დამდეგს
ზურაბ თარგამაძე
The Economic Tendencies on the Eve of
Formation of Ideas of Georgian Nationalism
Zurab Targamadze
- 13.00 – 13.20 მამული, მამულიშვილობა, იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით
ქეთევან მანია
Patria, Patriotism and Identity according
to Iakob Gogebashvili’s Publicist Papers
Ketevan Mania

13.20 – 13.40 ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია ეთნოსიმბოლისტური და მოდერნისტული პარადიგმების მიხედვით
გიორგი მაჭარაშვილი
Conceptualization of Georgian Nation (“Eri”) according to Symbolist and Modernist Paradigms
Georgi Macharashvili

13.40 – 14.00 დისკუსია
Discussion

14.00 – 15.00 **შესვენება**
Break

სხდომა 4

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
თავმჯდომარეები: *ლადო მირიანაშვილი* და *თემო ჯოჯუა*

Session 4

Ivane Javakhishvili Institute of History & Ethnology

Chairs: *Lado Mirianashvili* & *Temo Jojua*

15.00 – 15.20 ქართველური წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფების ისტორიისათვის: ზანთა სატომო განშტოების – ლაზების – ვინაობისათვის
ნუგ ზარ მგელაძე
History of the Ethnic Terms of Georgian
Origin: On the Identity of Lazians
Nugzar Mgeladze

15.20 – 15.40 ქართლის (იბერიის) მეფე-ერისთავთა დინასტიური წარმომავლობა (წერილობითი წყაროების კვლევა – ფიქციიდან არაფიქციისკენ)
ვლადიმერ ჭელიძე
The Dynastic Belonging of Kings and Dukes of Kartli (Iberia) according to the Written Sources – from Fiction to Non-Fiction
Vladimer Tchelidze

15.40 – 16.00 რა აკავშირებს სალტოვო-მაიაცკაიას არქეოლოგიურ კულტურას ჩრდილო კავკასიის ოსურ კულტურასთან?
ვახტანგ გოილაძე
Which are the Features Saltovo–Mayaki Archaeological Culture and North Caucasian Culture of Ossetia have in Common?
Vakhtang Goiladze

16.00 – 16.20 განძთსაცავები „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით
ქეთევან კუთათელაძე
Treasures according to “The Life of Kartli”
Ketevan Kutateladze

- 16.20 – 16.40 ხალხური და სასულიერო მმართველობის ისტორიის საკითხები განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: *ხუცეცი*
ბექა მგელაძე
On the History of Popular and Ecclesiastic Governance in the South-Western Georgia during the Developed and Late Middle Ages: *Khutsetsi Beka Mgeladze*
- 16.40 – 17.00 ალექსანდრე ამილახვრის „გეორგიანული ისტორიის“ რუსულ იმპერიულ იდეოლოგიასთან მიმართების საკითხისათვის
მამუკა ნაცვალაძე
“The Georgian History” by Alexander Amilakhvari and Russian Imperial Ideology
Mamuka Natsvaladze
- 17.00 – 17.20 ნაპოლეონის ემისრების ცნობები აბას მირზას ლაშქრის შესახებ რუსეთ-სპარსეთის პირველი ომის დროს (1804 – 1813)
ირინე ნაჭყებია
The Evidences of Napoleon’s Envoys about the Army of Abbas Mirza during the First War between Russia and Persia (1804 – 1813)
Irina Natchkebia
- 17.20 – 17.40 სოფელ ლეხაურის აღსარების მთქმელთა დავთარი (1842 – 1887 წწ)
გულიკო მჭედლიძე
The Book of the Shrifts from the Village Lekhauri (1842 – 1887)
Guliko Mchedlidze
- 17.40 – 18.00 აკაკი ჩხენკელის წერილები ბერნიდან და ჟენევიდან პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი საქართველოს დელეგაციისადმი
დოდო ჭუმბურიძე
Letters from Berne and Genève by Akaki Chkhenkeli to the Georgian Delegation at the Paris Peace Conference
Dodo Chumburidze
- 18.00 – 18.20 საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1921)
ლელა სარალიძე
From the History of Georgia’s and Ottomans Interrelations (1921)
Lela Saralidze
- 18.20 – 18.40 დისკუსია
Discussion
- 19.00 – 22.00 სოციალური პროგრამა უცხოელი მონაწილეებისათვის
Social Program – Supper

2017 წლის 20 ოქტომბერი
October 20, 2017

10.00 – 23.00 სოციალური პროგრამა უცხოელი მონაწილეებისათვის
Social Program – Excursion in Kakheti Region

2017 წლის 21 ოქტომბერი
October 21, 2017

სხდომა 5

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
თავმჯდომარეები: ნუგ ზარ მგელაძე და დავით მერკვილაძე

Session 5

Ivane Javakhishvili Institute of History & Ethnology
Chairs: *Nugzar Mgeladze & Davit Merkviladze*

10.00 – 10.20 კულხითი / კოლხეთი ჰამურაბის თანამედროვე
ზიმრილიმ მეფის მიმოწერაში
ნათელა ფოფხაძე

Culkhiti / Colchis in the Correspondence of the
King Zimri-Lim, the Ally of the King Hammurabi
Natela Popkhadze

10.20 – 10.40 დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ბერძნულ–რომაული
სახელწოდებების განმარტებისათვის (I – V საუკუნეები)
პაპუნა გაბისონია

Comments on Greek–Roman Designations of the Population
of the Western Georgia (First – Fifth Centuries)
Papuna Gabisonia

10.40 – 11.00 კოლხთა მოქცევის არქანჯელო ლამბერტისეული ვერსია
დავით მერკვილაძე

Conversion to Christianity of Colchis according to Archangelo Lamberti
Davit Merkviladze

11.00 – 11.20 ბიბლია და „ქართლის ცხოვრება“ – ფასეულობითი
ორიენტირის განმსაზღვრელი
ეკა კვაჭანტირაძე

Bible and “The Life of Kartli” – System of Values
Eka Kvachantiradze

11.20 – 11.40 „ალბანური წიგნი“ – ისტორიოგრაფიული
წყარო კავკასიის ისტორიისათვის
ცირა ბარამიძე

“The Albanian Book” as Historic Source for the History of Caucasus
Tsira Baramidze

- 11.40 – 12.00 დროის პარადიგმა IV – XI საუკუნეების ქართულ საისტორიო და ჰაგიოგრაფიულ ნარატივში
რუსუდან ლაბაძე
Paradigm of Time in Georgian Historical and Hagiographical Narratives of the Fourth – Eleventh Centuries
Rusudan Labadze
- 12.00 – 12.20 უნდილაძეთა საგვარეულოს მოღვაწეობის აღსასრული სეფიანთა ირანში სპარსულ წერილობით წყაროთა შუქზე
ნანა გელაშვილი
The End of the Activities of Undiladzes' Kin in Safavid Persia as Viewed through the Light of Persian Sources
Nana Gelashvili
- 12.20 – 12.40 საბა და ერასტი ორბელიანებისთვის ირანიდან გაგზავნილი სამძიმრის წერილის ავტორის – გიორგი მდივნის ვინაობის დადგენისათვის
ლადო მირიანაშვილი
For the Identification of the Personality of George – the Author of the Letter of Condolences Sent to Saba and Erasti Orbelianis
Lado Mirianashvili
- 12.40 – 13.00 დაბა თიანეთის დემოგრაფიული მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში (საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)
საბა სალუაშვილი
Demographic Situation in the Town Tianeti in the First half of the Nineteenth Century (according to Documents Kept in the Central Historic Archive of Georgia)
Saba Saluashvili
- 13.00 – 13.20 სადღეგრძელოს რიტუალის პიროვნებათაშორისი ასპექტები კავკასიურ სუფრაზე მოგზაურთა ჩანაწერების მიხედვით
გიორგი ყიფიანი
The Aspects of Interpersonal Communication of the Toast at the Caucasian Feast according to the Notes of Travelers
George Kipiani
- 13.20 – 13.40 იუმორი ცენზურით განსაზღვრულ ჩარჩოში (ჟურნალი „ნიანგი“ და ქართული საბჭოთა რეალობა)
ბონდო კუპატაძე
Humor in Frames Restricted by Censorship (the Magazine “Niangi” and Soviet Reality)
Bondo Kupatadze
- 13.40 – 14.00 დისკუსია
Discussion

14.00 – 15.00 შესვენება
Break

სხდომა 6

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
თავმჯდომარეები: როინ მეტრეველი და მარიამ ჩხარტიშვილი

Session 6

Ivane Javakhishvili Institute of History & Ethnology
Chairs: *Roin Metreveli & Mariam Chkhartishvili*

- 15.00 – 15.20 ნაკრის ანტიკური ხანის ნამოსახლარი
ზვიად კვიციანი
Antique Settlement in Vicinity in the Village Nakra
Zviad Kvitsiani
- 15.20 – 15.40 ვინ არის ბრიტანული ეპიგრაფიკული წყაროების BACVRA?
ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი
Who is BACVRA of Britain Epigraphic Sources?
Nikoloz Nikolozishvili
- 15.40 – 16.00 კლარჯული მრავალთავის (A-144) XV – XVI საუკუნეების
მინაწერებში გამოვლენილი ორი უცნობი ლექსი
თემო ჯოჯუა
*The Klarjeti Polykephalon (A-144) and its Colophons Dated to the
Fifteenth – Sixteenth Centuries: Two Newly Revealed Verses*
Temo JoJua
- 16.00 – 16.20 ოსმალეთის იმპერაში 1919 – 1920 წლების სასამართლო
გარჩევის მასალები, როგორც წყარო *Teşkilât-ı Mahsusa*
საქმიანობის შესასწავლად
ვერა საჰაკიანი
The Materials of 1919 – 1920 Trials Held in the Ottoman Empire
as a Source of Examination of the Activities of Teşkilat-ı Mahsusa
Vera Sahakyan
- 16.20 – 16.40 რუსული ეგზეკუცია ქართულ სოფლებში და მისი შედეგები
ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით
მადონა კეზაძე და მაია ბურდიაშვილი
Russian Execution in Georgian Villages and Its
Aftermaths according to Georgian Sources
Madona Kebabze & Maia Burdiashvili
- 16.40 – 17.00 დისკუსია
Discussion

17.00 – 18.00

სხდომების თავმჯდომარეების ინფორმაციები
კონფერენციის შეჯამება
კონფერენციის დახურვა
Information from the Sessions' Chairs
Summing up the Conference
Closing the Conference

მკვლევარების თეზისები

Paper - Abstracts

რედაქტორები: *მარიამ ჩხარტიშვილი* და *გონელი არახამია*

Editors: *Mariam Chkhartishvili & Goneli Arakhamia*

„ქართლის ცხოვრების“ დადიანისეული ნუსხის შესწავლისათვის

გონელი არახამია

დადიანისეული ნუსხა ე.წ. ახალი „ქართლის ცხოვრების“ იმ ხელნაწერთა ჯგუფს მიეკუთვნება, სადაც დაცულია ახალი „ქართლის ცხოვრების“ როგორც საკუთრივ ვახტანგისეული („მეცნიერ კაცთა“ კომისიისეული) რედაქცია (დასაწყისიდან გიორგი V ბრწყინვალის გამეფებამდე), ისე ამ უკანასკნელის გვიანდელი, ე.წ. შევსებულ-გადაკეთებული ვერსია (XIV–XVII სს. ისტორიის ფარგლებში).

დადიანისეული ნუსხა დასაწყისიდან ჟამთააღმწერლის თხზულების ჩათვლით მისდევს რუმინანცევისეულ ნუსხას, რომელშიც წარმოდგენილია „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მუშაობის პირველი ეტაპის შედეგები. ამ მხრივ ხელნაწერის ტექსტი აღნიშნულ ფარგლებში რედაქციულად სხვიტორულ და საეკლესიო მუზეუმის ნუსხებს უახლოვდება და განსხვავდება ახალი „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებისაგან (ბარათაშვილისეული და ფალავანდიშვილისეული), რომლებიც „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მოღვაწეობის დასრულების შემდეგ შეიქმნა, იმეორებენ რუმინანცევისეული ანუ „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ხელიდან გამოსულ ტექსტს და ავსებენ მას ახალი, ორიგინალური ჩანართებით.

ამავე დროს დადიანისეულ ნუსხაში XIV – XVII სს. ისტორია წარმოდგენილია არა „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ხელიდან გამოსული რედაქციით, არამედ აღნიშნული კომისიის საქმიანობის დასრულების შემდგომ სხვა ისტორიკოსის მიერ ვახტანგისეული ტექსტის გადამუშავებული ვერსიით (ასეთივე შედგენლობისაა სხვიტორული ნუსხაც).

ბოლონაკულობის გამო დადიანისეულ ნუსხას არ შემოუნახავს ცნობები გადამწერის ვინაობისა და გადაწერის თარიღის შესახებ. ზოგიერთი ირიბი მონაცემით (ქართულ ორთოგრაფიაში ანტონ I-ის მიერ XVIII ს. 50-იან წლებში შემოღებული ნახევარხმოვნის აღმნიშვნელი სიმბოლოს გამოყენება, წმ. ნინოს სახელის „ნინას“ ფორმით დაწერილობა, ქალაღის ჭვირნიშნები) ხელნაწერი შექმნილი ჩანს XVIII ს. ბოლო მეოთხედში.

„ალბანური წიგნი“ – ისტორიოგრაფიული წყარო კავკასიის ისტორიისათვის

ცირა ბარამიძე

მოხსენებაში განხილულია „ალბანური წიგნის“ ფოტოპირების შესწავლის ისტორია; თავად წიგნის ორიგინალი დღემდე დაკარგულად ითვლება. ფოტოპირები აღმოაჩინა, ტრანსლიტერაცია და თარგმანი დაურთო და ბეჭდური სახით გამოსცა 1995 წელს მახაჩყალაში ი. იარალიევმა. წიგნის ავტორი და ნამდვილი დასახელება უცნობია – აღმოჩენილ 50 ფურცელში არ არის სატიტულო გვერდი. აღმოჩენილი ფურცლების მიხედვით, წიგნი უნდა შემდგარიყო 4 ნაწილისაგან: ალუპანის ისტორია, ვარსკვლავები და კალენდარი, ამ სახელმწიფოს გამოჩენილი ადამიანების შესახებ მოკლე ინფორმაცია და რელიგიური წიგნიდან ფრაგმენტები. ი. იარალიევი წიგნის გამოსაცემად მიმართავს ტრანსლიტერაციის განსაკუთრებულ პრინციპებს, „ასწორებს“ გადამწერების მიერ დაშვებულ შეცდომებს იმგვარად, რომ არ დაარღვიოს ტექსტის შინაარსი, იცავს ერთი და იმავე სიტყვის ჩაწერის სხვადასხვა დიალექტურ ვარიანტს, ურთავს რუსულ თარგმანს; ტოპონიმები, ჰიდრონიმები და სხვა სიტყვები დაცულია

ისე, როგორც ეს დედანშია წარმოდგენილი. „ალბანური წიგნი“, როგორც ჩანს, შესრულებული იყო ტყავზე; ამიტომ ი. იარალიევი რუსულ თარგმანში არ ცვლის სიტყვა „ზულ“-ს; ეს სიტყვა ლეზგიურად აღნიშნავდა ტყავზე შესრულებულ ცალკეულ ხაზს (შეიძლება - გვერდს). ოღონდ, ეს „გვერდი“ არ შეესაბამებოდა „ალბანური წიგნის“ შემდგომში არაერთგზის გადაწერილი ვარიანტების „გვერდს“.

მოხსენებაში გაანალიზებულია „ალბანური წიგნის“ სტრუქტურა „ზულ“-ების მიხედვით, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორ შეიქმნა ადამის შთამომავლების (დაწვრილებით არის აღწერილი), კერძოდ, თარგამოსის უმცროსი შვილის - „ალუპ“-ის მიერ ალბანთა ქვეყანა; შემდგომ ალუპის რვა შვილისაგან როგორ შეიქმნა რვა ძირითადი ალბანური ტომი და „მას შემდგომ, რაც ღმერთმა ალუპის სული წაიყვანა“, როგორ დაიშალა ალუპის სახელმწიფო (ზედმიწევით - „სახლი“) წვრილ-წვრილ სახელმწიფოებად და ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფოები (რანი, კიურები, შაქი, წახი, მუშქი, ხელი, ლეგი, გილი, ლეზგი, კირკი ...). წიგნში დაწვრილებით არის მოცემული ცნობები ამ ტომების უძველესი ისტორიის შესახებ. შედარებულია ალბანთა დიდება არმენებისა და ქართველების დიდებასთან, აღწერილია დარიოსის სამეფოს დაცემა ფილიპ ისკენდართან ბრძოლის შედეგად. წყაროს მიხედვით, ამ დროს „ალუპანთა“ სახელმწიფო იყო უძლიერესი სახელმწიფო. ტექსტი იძლევა საინტერესო მასალას კავკასიის ისტორიის შესახებ უძველესი ეპოქიდან მოყოლებული. ტექსტში მოხმობილია შეგონებები ქრისტიანული მრწამსის მიხედვით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ტექსტი შექმნილია ალბანთა ქრისტიანული სახელმწიფოს დაცემამდე (VII საუკუნემდე) ალბანურ ენაზე ალბანური დამწერლობით; შემდგომ იგი, როგორც ჩანს, არაერთგზისაა გადაწერილი (გადათარგმნილიც) ლეზგიურ ენებზე, კერძოდ, ლეზგიურად.

მოხსენებაში გაანალიზებულია ტექსტის ეთნოლინგვისტური და ისტორიოგრაფიული მასალა; მოცემულია მცდელობა ტექსტის შექმნის ეპოქის განსასაზღვრად და მისი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობის დასადასტურებლად.

ქართლის (იბერიის) პირველ ქრისტიან მეფეთა დინასტიური პრობლემები (ამიანე მარცელინესა და ქართული წყაროების მიხედვით)

გივი ბოლქვაძე

მოხსენებაში განხილული და შეჯერებულია ამიანე მარცელინეს „ისტორიის“ (*Res gestae*) და „მეფეთა ცხოვრების“ ცნობები ქართლის (იბერიის) პირველ ქრისტიან მეფეთა ოჯახში მომხდარი დინასტიური განხეთქილების შესახებ. ილუსტრირებულია ამ მონაცემების ურთიერთშესაბამისობა და შემუშავებულია თვალსაზრისი, რომ ქართული და რომაული წყაროები ასახავს ერთი და იმავე ისტორიულ მოვლენებს, რომელთაც ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა IV ს. II ნახევარში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამიანე მარცელინესთან და „მეფეთა ცხოვრებაში“ აღწერილ დინასტიური განხეთქილების პოლიტიკური შედეგების გავლენას უნდა უკავშირდებოდეს ძველქართულ საისტორიო წყაროებში რიგი, არსებითად განსხვავებული, მონაცემების არსებობა პირველ ქრისტიან მეფეთა სახელების, მეფობის თანმიმდევრობისა თუ ტახტის მემკვიდრეობის უფლების სამართლებრივი ფორმების შესახებ.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ბერძნულ–რომაული სახელწოდებების განმარტებისათვის (I – V სს.)

პაპუნა გაბისონია

I – V საუკუნეებში, რომელი და ბიზანტიელი ავტორები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და, ზოგადად, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში მრავალ ტომს ასახელებენ, რომელთა სახელწოდებები ბერძნულ–ლათინურად არის გადმოცემული. კვლევის მიზანს ამ ტომთა თვითსახელწოდებების გარკვევა წარმოადგენს. რომელი და ბერძენი ავტორები ამ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ძირითად მოსახლეობად ლაზთა ტომს ასახელებენ. ვფიქრობთ, რომ ეს სახელი ბერძნული წარმომავლობისაა და ჭანების დასავლურ ქართული ტომის ერთ–ერთ შტოს მიემართებოდა, რომლებიც ზღვისპირას ცხოვრობდნენ. ლაზების რომაული სახელწოდება პლინიუსთან „სალტიების“ სახელით არის გადმოცემული. „ლაზიკე“ და „სალტია“ ხშირი ბუჩქნარით (ტყით) დაფარულ ტერიტორიას აღნიშნავს. საინტერესოა აფსილების ტომის იდენტიფიკაციის საკითხიც. მიგვაჩნია, რომ ესენი მეგრული ანუ დასავლურ ქართული მოდგმის ხალხი იყო, რომლებიც მდინარეებს – გუმისთასა და კოდორს – შორის ცხოვრობდა. აფსილიც ბერძნული ტერმინია და „უმეგობრო, არასტუმართმოყვარეს“ ნიშნავს. ფლავიუს არიანესთან მოხსენიებული „დრილები“ მურღულის ხეობის მკვიდრი ჭანები არიან. ეს ბერძნული სახელი თარგმანში ჭიას, იგივე მურღულს ნიშნავს. ამ ხეობიდან გამოსული ფეოდალები ჭიასძეების სახელით არიან ცნობილი. ჩვენი დაინტერესება „ფთეიროფაგების“ ტომის სახელწოდების წარმომავლობამაც გამოიწვია, ისევე როგორც „აბაზგთა“ საკითხმა, რომელიც დღემდე აქტუალურია. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი ფიქრობდა, რომ სახელწოდება „აბაზგი“ ბერძნულიდან მომდინარეობდა. გამოკვლევაში ამასთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრება ჩამოვაყალიბეთ, რომელიც აფხაზთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხს ეხება.

ამ ტომების უცხოური სახელწოდებები შევადარეთ ქართულ სახელებს, რომელიც ქართულ საისტორიო წყაროებშია გადმოცემული, რამაც გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალება მოგვცა.

უნდილაძეთა საგვარეულოს მოღვაწეობის აღსასრული სეფიანთა ირანში სპარსულ წერილობით წყაროთა შუქზე

ნანა გელაშვილი

სეფიანთა ირანში უნდილაძეების მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ უხვი ცნობები მოიპოვება როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში. უპირველეს ყოვლისა, უნდილაძეებმა პოპულარობა მოიპოვეს როგორც სახელოვანმა სამხედრო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, თუმცა, იმავდროულად ისინი აქტიურად იღწვოდნენ ირანის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის, ასევე ცნობილნი იყვნენ როგორც დიდი ქველმოქმედები და მეცენატები. მიუხედავად წარმატებული კარიერისა, უნდილაძეების აღსასრული მეტად სავალალო და ტრაგიკული აღმოჩნდა. ამის თაობაზე ახრთა სხვადასხვაობაა წერილობით წყაროებში და შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაშიც ცალსახად დამაჯერებელი თვალსაზრისი არ არსებობს.

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება ფოკუსირებულია უნდილაძეთა მოღვაწეობის ბოლო პერიოდზე, გაანალიზებულია მათი დადმასვლის მიზეზები და გარემოებები. საამისოდ საუკეთესო პირველწყაროებს წარმოადგენს სპარსული საისტორიო თხზულებები (ისქანდერ მუნშის „გაგრძელება“, მოჰამად იუსუფის „სამოთხე“, აბუ ალ-მუფახერ თაფრიშის „შაჰ სეფის ისტორია“ და სხვ.), რომელთა ცნობები ჩვენ მიერ იქნა თარგმნილი სპარსულიდან ქართულად. განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციაა დაცული ასევე სპარსულ ლიტერატურულ ე.წ. „თეზქრეებში“ (ანუ ანთოლოგიებში), რომელთა თანახმად, სეფიანთა ირანის ლიტერატურულ ასპარეზზე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ და დიდი პატივითაც სარგებლობდნენ ალავერდი-ხანის შთამომავლები, რომელთაგან ზოგი რეპრესიებს გადაურჩა.

ცნობილია, რომ უნდილაძეთა აღზევება ირანში შაჰ აბას I-ის (1587-1629) სახელს უკავშირდება, რომელმაც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ზღვარგადასული უფლებებით აღჭურვილ ყიზილბაშურ ტომთა თავკაცებს კავკასიური ეთნიკური ელემენტი, მათ შორის, ქართველები დაუპირისპირა. სწორედ ამგვარი პოლიტიკური კურსის ტალღაზე დაწინაურდნენ ალავერდი-ხან უნდილაძე, მისი შვილები – იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი, ასევე მათი შთამომავლები.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა შაჰ აბასის შვილიშვილს და ტახტის მემკვიდრის შაჰ სეფი I-ის (1629 – 1642) გამეფების შემდეგ, რომელმაც თითქმის მთლიანად გაჟლიტა უნდილაძეთა საგვარეულო. მოვლენების ამ მიმართულებით განვითარება დააჩქარა დაუდ-ხან უნდილაძისა და მეფე თეიმურაზ I-ის (1606-1663) მიერ ორგანიზებულმა ანტისეფიანურმა აჯანყებამ (1632 წლის შემოდგომაზე). სპარსულ და ზოგიერთ ევროპულ წყაროში სხვა მიზეზიც სახელდება. კერძოდ, თითქოს შაჰ სეფი ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ ძმები უნდილაძეები შაჰ აბასის უკანონო ვაჟის გამეფებას აპირებდნენ (რომელიც იმამყული-ხანთან აფარებდა თავს) და ამის გამო გადაემტერა ის ალავერდი-ხანის შთამომავლებს.

ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ის ისტორიული რეალობაც, რომ შაჰ სეფი I გამეფებისთანავე ნეგატიურად იყო განწყობილი უნდილაძეთა მიმართ, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ირანში აღზევებულ ქართველთა მეორე დაჯგუფებას ხოსრო-მირზას, შემდგომში ქართლის ვალის - როსტომის მეთაურობით. ამ უკანასკნელს კი თავად შაჰ სეფი ლობირებდა.

ნაშრომში განხილული საკითხები შესწავლილია სპარსულ საისტორიო და ლიტერატურულ თხზულებებში დაცული მასალის პარალელური ცნობების შემცველ სხვა წყაროებთან (ქართულ, ევროპულ, სომხურ) ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

რა აკავშირებს სალტოვო–მაიაცკაიას არქეოლოგიურ კულტურას ჩრდილო კავკასიის ოსურ კულტურასთან?

ვახტანგ გოილაძე

მდ. დონის დასავლეთით, სოფ. ვერხნეე სალტოვოსა (ხარკოვის ოლქი) და მაიაცკაიას (ვორონეჟის ოლქი) ნასახლარებზე მიკვლეული არქეოლოგიური ნივთების, ჩრდილო კავკასიაში ოსთა წინაპრებისადმი მიკვლეულ სამაროვნებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალასთან მსგავსების შესახებ ა. სპიცინმა 1900, ხოლო ი. გოტიემ 1906

წელს მიუთითეს. 1935 წელს იგივე გაიმოერა მ. არტამონოვმა. ჩრდილო კავკასიიდან მდ. დონის დასავლეთით ოსთა წინაპრების გადასახლების შესახებ პირველად 1955 წელს „Большая советская энциклопедия“-ში. (БСЭ, მეორე გამოცემა, ტ. 37, გვ. 622) მოთავსებულ წერილში – „Салтовская культура“ – გაცხადდა.

1962 წელს მ. არტამონოვმა შესაძლებლად ჩათვალა, რომ სალტოვოს კულტურის შემქნელი ხალხი ალანთა შთამომავლები ყოფილიყვნენ („История хазар“, გვ. 313), 1974 წელს „Советская историческая энциклопедия“-ში (СИЭ) გამოქვეყნებულ წერილში- „Хазарский кагаанат“ (ტ. 15, სვეტი 483) მ. არტამონოვის თვალსაზრისმა დასრულებული სახე მიიღო.

1967 წელს ს. პლეტნიოვამ მდ. სევერსკი დონეცის ზემო წელზე, ასევე მდ. ოსკოლისა და მდ. დონის მიდამოებში ოსთა წინაპრების გადასახლება 735 წელს ჩრდილო კავკასიაში მურვან იბნ მუჰამადის ლაშქრობას დაუკავშირა, მაგრამ 1969 წელს СИЭ-ში (ტ. 12, სვეტი 491-592) და 1975 წელს БСЭ-ში (მესამე გამოცემა, ტ. 22, სვეტი 516) გამოქვეყნებულ წერილებში-„Салтово-Маяцкая культура“ ჩრდილო კავკასიიდან მდ. დონის დასავლეთით ოსთა წინაპრების გადასახლების შესახებ აღარ მიუთითა. აღნიშნულის მიუხედავად 1987 წელს ვ. კუზნეცოვმა სალტოვო-მაიაცკაიას კულტურის შემქნელი ხალხი მდ. ყუზანისა და კისლოვოდსკის რაიონებიდან გადასულებად ჩათვალა (История Северо-Осетинской АССР“, I, გვ. 87). ისინი შემდეგ, თითქოს, ხარკოვის, ვორონეჟისა და ბელგოროდის ოლქების ტერიტორიებზე განსახლდნენ და მათგან დგებოდა ხაზართა ლაშქრის დიდი ფორმირებები (თვალსაზრისი ჩრდილო კავკასიიდან მდ. დონის დასავლეთით ოსთა წინაპრების გადასახლების შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც აისახა. იხ ნ. აფხაზავას ნაშრომი).

ჩრდილო კავკასიიდან მდ. დონის დასავლეთით ოსთა წინაპრების გადასახლების შესახებ საისტორიო წყაროებში რადგან არავითარი მითითება არაა (როგორც ჩანს, ეს გაითვალისწინა ს. პლეტნიოვამ), სალტოვო-მაიაცკაიას კულტურის შემქნელი ხალხი იმ სკვითი-სავრომატების შთამომავლებად უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც ჰეროდოტეს ცნობით, იქ ძვ. წ. V ს.-ში შევიდნენ და ახ. წ. I ს.-ის 30-იან წლებში ჩრდილო აზოვისპირეთში „სკვით-ალანებთან“ ერთად არ ჩამოვიდნენ, ცხოვრება დონეცის ზეგანზე გააგრძელეს და დროთა განმავლობაში დასახლებული ოლქების ტერიტორიებზეც განსახლდნენ.

მდ. დონის დასავლეთითა და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ინდოევროპული მოდგმის ხალხები ძველ სავრომატ-სარმატთა შთამომავლები იყვნენ და მათ, ცხადია, ერთნაირი არქეოლოგიური კულტურა ექნებოდათ, რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაშიცაა მითითებული (ვ. გოროდცოვი).

ეკონომიკური ტენდენციები ქართული ნაციონალიზმის იდეების ფორმირების პერიოდის დამდეგს

ზურაბ თარგამაძე

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისათვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს ქართული იდენტობის ისტორიის საკითხების კვლევა. მრავალ ფაქტორთა გამო, წარსულში, საისტორიო პრობლემატიკის დასმისას უგულვებელყოფილი იყო ქართული ერთობის, როგორც ისტორიულ-კულტურული ფენომენის, გააზრება. მკვლევართა დიდი ნაწილისათვის, მნიშვნელოვანი იყო იმ

იდეოლოგიური ხაზის გაძლიერება, რომელიც ქართულ-რუსულ პოლიტიკურ კავშირში მხოლოდ პოზიტიურ მომენტებს ხედავდა, იდენტობის ისტორიის კვლევა კი, რაც ამა თუ იმ ერთობის თვითცნობიერებაში ერთიანობის ექსკლუზიური ფაქტის საფუძვლებს ამოკითხვას გულისხმობს, ამისათვის ვერ გამოდგებოდა. სწორედ ამის გამოა, რომ თუმცა მოგვეპოვება მრავალი მნიშვნელოვანი კვლევა, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესახებ, მათი უმთავრესი ღირებულება ფაქტოლოგიური და ქრონოლოგიური პრობლემატიკის შესწავლაში გამოიხატება და არა ისტორიის კონცეპტუალურ გააზრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი სიზუსტე ისტორიული კვლევის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მხოლოდ ასეთი ფორმით გადმოცემული წარსული ვერ იქნება სრულყოფილი ისტორიული ცოდნა.

გარდა ისტორიულ-კულტურული სუბიექტივისტური მომენტებისა, ეროვნული ცნობიერებისა და ერების ფორმირებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ეკონომიკურ ფაქტორებსაც. იდეოლოგიური პაკეტი, რომელსაც ინტელექტუალური ელიტა ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე და შემდგომაც სთავაზობს ერთობას, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების თავისებურებაზე, ერთი მხრივ, ეკონომიკა თავისი განვითარების ტიპით ნაწილობრივ განსაზღვრავს შეთავაზებულ იდეათა ხასიათას, და მეორე მხრივ, ეკონომიკური ფაქტორები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას ამ იდეათა გავრცელებისათვის ხელსაყრელი ბაზრის შესაქმნელად. ამდენად ქართული ეკონომიკის განვითარების ხასიათის გარკვევა უმნიშვნელოვანესი საკითხია.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული წყაროები მიგვანიშნებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ განვითარებაზე, ქართველი მკვლევრების უმეტესობის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნეში კრიტიკულად არის შეფასებული. მთავარ მიზეზთა შორის სახელდება ამ დროს ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის არარსებობა, გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოადგენდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა გავლენის სფეროებისადმი დაქვემდებარებულობა. ქართული ეკონომიკის ასეთი დახასიათება მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ პერიოდის კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის მიღწევების შეფასებისაგან. სავარაუდოა, რომ განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე ვერ იქნებოდა წარმატებული.

მოხსენებაში განხილული იქნება XVIII საუკუნეში ქართული ეროვნული ცნობიერების ფორმირების საწყისი ეტაპისათვის არსებული ეკონომიკური განვითარების ტენდენციები.

ბიბლია და „ქართლის ცხოვრება“ – ფასეულობითი ორიენტირის განმსაზღვრელი

ეკა კვაჭანტირაძე

მოხსენება ეხება ბიბლიისა და „ქართლის ცხოვრების“, როგორც ისტორიოგრაფიული ძეგლების, ტიპოლოგიურ კვლევას. ძველი აღთქმის ისტორია ერთი ერისა და სახელმწიფოს ისტორიას წარმოადგენს, ამიტომ ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, ბიბლიური თხრობა ისრაელის შესახებ არის ამ ერის პოლიტიკური

წარსულის შესახებ უმთავრესი წყარო. „ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი წყაროა, ის უნიკალურია თავისი ერთადერთობის გამო ქართული ერთობის ისტორიის საზრისის, თვითცნობიერების, იდენტობის ჩამოყალიბებაში.

ბიბლიური აზროვნების განმსაზღვრელია ურთიერთობა ერსა და შემოქმედს შორის. ეს ურთიერთობა კი ბიბლიაში წარმოდგენილია იმ ღირებულებებისადმი ერთგულების ნიშნით, რამაც ეგვიპტური კირთებიდან გამოსული ხალხის ნაციონალური იდენტობა განსაზღვრა. ისრაელიანისათვის მთავარი უნდა ყოფილიყო არა ის, რა პოლიტიკას აწარმოებდა ქვეყნის ძლიერებისათვის, არამედ ის ურთიერთობა ჭეშმარიტებასთან, რაც მას აუცილებლად მისცემდა ძლიერ სახელმწიფოს. მსგავსი აზროვნების ტიპს ვხვდებით „ქართლის ცხოვრების“ შემთხვევაშიც. ეს ძეგლი არის უწყება იმის შესახებ, თუ რა ღირებულებითი ძიების გზა გაიარა იმ ხალხმა, რომელიც საბოლოოდ ქართული იდენტობის გარშემო შემოიკრიბა. აქ მთავარი საკითხია ის, თუ ერმა რამდენად უერთგულა იმ ღირებულებებს, რითაც მისი ნაციონალური იდენტობა განისაზღვრა.

ბიბლიას და „ქართლის ცხოვრებას“, კომპოზიციურად შეკრული სტრუქტურის მიუხედავად, არ ჰყავს ერთი კონკრეტული ავტორი, რომელიც გაბმულ თხრობას გვთავაზობდეს. ორივე მათგანი ავტორთა კრებულის ხელითაა წარმოდგენილი და როგორც ბიბლიაში, ასევე „ქართლის ცხოვრებაში“ ავტორთა ეს კრებული ერთი სულითაა ნაწინამძღვრევი. ამ ისტორიოგრაფიული ტრადიციისათვის ანონიმურობა საკმაოდ მყარი პრინციპია.

ამრიგად, ბიბლია და „ქართლის ცხოვრება“ ისტორიოგრაფიული აზროვნების ტიპით, ჟანრული სპეციფიკით, ისტორიის საზრისით, იდეური მრწამსით ბევრ მსგავსებას ავლენენ. ესენია: თხრობის მთავარი თემა - ღირებულებითი იდეა; ერის შინაარსის და დატვირთვის გააზრება; ისრაელისა და საქართველოს ოქროს ხანა და მისი დასასრული; სახელმწიფოებრივი სიმტკიცის იდეა. სწორედ ამ მსგავსებების განხილვას შეეხება მოხსენება.

ნაკრის ანტიკური ხანის ნამოსახლარი

ზვიად კვიციანი

სვანეთში გამოვლენილი კლასიკური ხანის ძეგლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა გორა-ნამოსახლარები.

2016 წლის ივლისში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი, პროფ. ზვიად კვიციანი) ერთმა ჯგუფმა, სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა, მესტიის მუნიციპალიტეტის, ნაკრის თემის, სოფ. ზედა ნაკრაში, მდ.ნაკრის მარჯვენა მალალ პლატოზე (მდ.ენგურის მარჯვენა შენაკადი) ადგილ „ლამზურბაჩთან“ (ქართ. სალოცავი ქვა). აღნიშნულ უბანზე სამუშაოების შედეგად მოხერხდა ამ უბნის შესწავლა დედაქანამდე.

ლამზურბაჩის ნამოსახლარზე ძირითადად წარმოდგენილია შავად, ნაცრისფრად, აგურისფრად და მოყავისფროდ გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტები, რომელთაც ზოგჯერ ახასიათებს არათანაბარი გამოწვა. მათ შორის გამოიყოფა თხელკეციანი და შედარებით სქელკეციანი თიხის ნაწარმი, ხანდახან ზედაპირზე და შიდაპირზე ქარსის

ჩანართებით. ამ ძეგლზე თიხის ჭურჭელი იმდენად ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი, რომ ვიზუალურად ძნელდება მათი ცალკეული სახეობის გამოყოფა. თუმცა პროფილირებული, ძირითადად პირგვერდის ნატეხების მიხედვით მეტნაკლებად მაინც ხერხდება გარკვეული თიხის ჭურჭლის ფორმების განცალკავება. უმთავრესად გვხვდება სამზარეულო (სუფრის) დანიშნულების თიხის ნაწარმი. იშვიათადაა სამეურნეო დანიშნულების კერამიკა. ლამზურბაჩის ნამოსახლარზე მონაპოვარ მასალათა შორის შესაძლებელია გამოიყოს ერთი ქრონოლოგიური პერიოდის ძვ. წ. VIII – VI სს-ების მასალა. მათ შორის უფრო ადრეულ ხანას კარგად საზღვრავს კანელუროვანი კერამიკა, ქედებიანი დეკორი და პირის ქობის დაჭდევა. ასევე ერთგვარი დამათარილებელი მნიშვნელობა უნდა გააჩნდეს დოქისმაგვარი ფორმის ყელიანი ჭურჭლის ფრაგმენტს შემკულს ჭდეული შტამპით, რომლის წრეში გადმოცემულია ჯვრისებური გამოსახულება.

ძეგლი განადგურებულია ერთბაშად ძლიერი ხანძრის შედეგად, რაც გარეშე ძალის თავდასხმასთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც აღმოჩენილი მასალების მიხედვით ჩანს, ზემო ნაკრის ნამოსახლარი, ისევე, როგორც უშგულის „ნამურყვამი“, (მესტიის მუნიციპალიტეტი), ზემო ხაიშის საკულტო-რელიგიური კომპლექსი (მესტიის მუნიციპალიტეტი), ქვემო ხაიშის ნამოსახლარი (მესტიის მუნიციპალიტეტი), მსგავსად ეცერის „სუკვისა“, (მესტიის მუნიციპალიტეტი), წარმოადგენს სამეურნეო და დაცვითი დანიშნულების სამოსახლოს, სადაც როგორც ჩანს, რელიგიური რწმენა - წარმოდგენების შესაფერისი რიტუალიც სრულდებოდა.

ამრიგად, სვანეთის მხარეს ლამზურბაჩის ნამოსახლარის სახით შეემატა კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო ძეგლი, რომელიც ხაიშის, ეცერის, უშგულის გორის ნამოსახლარებისა და ლარილარის სამაროვნის სინქრონული ჩანს. ვფიქრობთ, მომავალში ამ ნამოსახლარის შესწავლა საშურ და გადაუდებელ საქმეს უნდა წარმოადგენდეს.

იუმორი ცენზურით განსაზღვრულ ჩარჩოში (ჟურნალი „ნიანგი“ და ქართული საბჭოთა რეალობა)

ბონდო კუპატაძე

საბჭოთა პერიოდის შესწავლის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ე.წ. „შუალედური ნარატივის“ კვლევა. საბჭოთა ეპოქის ოფიციალური დოკუმენტები და საჯარო პუბლიკაციები (პრესა) აჩვენებს საბჭოთა ყოფის ოფიციალურ მხარეს. საარქივო დოკუმენტები (პარტარქივი, შსს-ს არქივი), არალეგალური და დისიდენტური პუბლიკაციები კი წარმოგვიდგენს სისტემის შიდა სამზარეულოს და მის პრობლემებს. თუმცა საჯარო სივრცეში არსებობდა იმგვარი გამოცემებიც, რომლებიც საბჭოთა რეალობას შედარებით ობიექტურად წარმოადგენდა. ამ კატეგორიის გამოცემა იყო ჟურნალი „ნიანგი“, სადაც კრიტიკა, პაროდირება, ოფიციალური ცენზურის ჩარჩოში იყო მოქცეული და პროცესებს თუ სოციალურ ჯგუფებს ხელისუფლების მხრიდან დაწესებული დეფინიციებით განსაზღვრავდნენ. მიუხედავად ამისა, პრესის სხვა ოფიციალურ ორგანოებთან („კომუნისტი“, „დროშა“, „ახკომი“, „თბილისი“, „დროშა“, „საქართველოს ქალი“) შედარებით „ნიანგი“ იძლეოდა საბჭოთა ყოფის და სოციალური გარემოს ბევრად ზუსტ სურათს, ვინაიდან მისი ვალდებულება იყო საბჭოთა პრესისთვის დაწესებული „კრიტიკა და თვითკრიტიკა“, რაც მის მასალებს

(ფელეტონები, ნაკვესები, კარიკატურები) უნებურად აძლევდა ბევრად ობიექტურ სახეს.

„ნიანგის“ მასალებში ჩანს დიფერენცირებული მიდგომა. მაგალითად, საგარეო პოლიტიკის თემები სრულად მოქცეულია საბჭოთა პრიზმაში და ცენზურა ასპროცენტია. ოფიციალური დადგენილებები და პარტიული ხაზი, აგრეთვე ჟურნალ „კროკოდილის“ კოპირებაც სრულად არის ცენზურის გავლენის ქვეშ. სამაგიეროდ ბევრად მეტი თავისუფლებაა სოციალური გარემოს ასახვისას და მთელი რიგი საბჭოთა კამპანიები („ყამირი“, „სიმინდის თესვა“, „სოფლის აღორძინება“, მწერლობაში გაწვევა, ბრძოლა სპეკულანტობასთან) თავისდაუნებურად გამარჯვებულია და მათი რეალური სოციალური ქვეტექსტებიც კარგად ჩანს.

დროის პარადიგმა IV – XI საუკუნეების ქართულ საისტორიო და ჰაგიოგრაფიულ ნარატივში

რუსულდან ლაზაძე

1. დროის აღქმა მსოფლმხედველობის ფუნდამენტური წანამძღვარია. დროის სხვადასხვა პარადიგმები ამა თუ იმ ეპოქის ადამიანთა ქცევის მოდელებსა და ფასეულობათა სისტემებს აყალიბებს. ქრისტიანული ისტორიული შემეცნების პარადიგმა, რომელიც საეკლესიო კულტურის წიაღში შეიქმნა, ორ ძირითად იდეას – ღვთიურ განგებას და ისტორიული დროის ხაზოვან განვითარებას – დაემყარა. მაშინ, როცა ანტიკური ისტორიოგრაფია კონკრეტული პოლიტიკური საზოგადოების ისტორიას გვთავაზობდა, რომლის არსებობის დრო ისტორიის დროსაც წარმოადგენდა. ეს იყო წყვეტილი, ავტონომიური პერიოდები, რადგან ერთი პოლიტიკური საზოგადოების დრო კორელაციაში არ მოდიოდა მეორის დროსთან.

2. შუა საუკუნეებში დროის აღქმის პრობლემას დიდი ხანია სწავლობენ. ვერცერთი თანამედროვე სრულყოფილი გამოკვლევა შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ გვერდს ვერ აუვლის დროის პრობლემატიკას. მათი უმრავლესობა ფრანგული „ანალების“ სკოლის ისტორიკოსთა შრომებით არის შთაგონებული. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფ. ბროდელის, ჟ. ლე გოფის, ე. ლე რუა ლადიურის და სხვათა ნაშრომები ისტორიული დროის შესახებ.

3. ეკლესიის მონოპოლია დროზე, ზოგადად, შუა საუკუნეების უნივერსალური მოვლენაა და ისევე ვრცელდება დასავლურ ქრისტიანობაზე, როგორც აღმოსავლურზე. ამდენად, ვერც ქართული საეკლესიო და ისტორიული მწერლობა იქნება გამონაკლისი.

4. IV – XI სს-ის ჰაგიოგრაფიული ნარატივი აღბეჭდილია ეკლესიის დროით, რომელიც მხოლოდ ერთ, საეკლესიო კალენდარს სცნობს და ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი. ჰაგიოგრაფიული ქმნილების ქარგა აგებულია წმინდანის ცხოვრებაზე, რომელიც საზოგადოების მაგალითია ან ასეთად უნდა იქცეს. ამ ცხოვრების თუ მარტვილობის ყოველი დღე, საათი, წუთი თუ წამი ეკლესიის კუთვნილებაა. შესაბამისად დღე გამოიხატება დღესასწაულებით და წმინდანთა ხსენების დღეებით. დროის გაზომვის უფრო მცირე ერთეულია ლიტურგიკული მსახურების მიხედვით დაყოფილი დროის აღმნიშვნელი „ჟამი“, რომელიც უნივერსალურია და თანაბრად გამოხატავს ჰაგიოგრაფიის საეკლესიო დროსა და ისტორიოგრაფიის საერო დროს.

5. საეკლესიო დროის განსაკუთრებული ნაწილია ესქატოლოგიური დრო, რომელსაც იცნობს როგორც ჰაგიოგრაფია, ისე საისტორიო მწერლობა. თუმცა კი,

ესქატოლოგიური დრო ჰაგიოგრაფიაში უფრო ხელშესახებია. საკმარისია ითქვას, რომ „წმ. აბო თბილელის მარტვილობაში“ ესქატოლოგიური თეორიაა ჩამოყალიბებული, რომელიც იოანე საბანისძეს ეკუთვნის.

6. ქართულ საისტორიო მწერლობაში კარგად იგრძნობა ღვთიური განგებაც და დროის ხაზოვანი განვითარებაც. „ქართლის ცხოვრების“ პირველი თხზულებებისათვის (ლეონტი მროველი, ჯუანშერი) უცხოა დროის შკალაზე თარიღის, როგორც მიჯნის, გაგება. აქ დრო გააზრებული და განცდილია როგორც თაობათა ცვლა და მეფეთა მმართველობის პერიოდი.

7. „ქართლის ცხოვრებაში“ კონკრეტული დროის განცდა პირველივე თარიღთან ერთად ჩნდება. ქრონოლოგიით მდიდარი სუმბატ დავითის-ძის თხზულება დროის გაგებას ერთდროულად რამდენიმე ერთეულით ავსებს: ქართული ქრონიკონი, წელთაღრიცხვა ქვეყნის შექმნიდან, თვე, რიცხვი, დღე.

8. ჰაგიოგრაფიული მწერლობისაგან განსხვავებით, სადაც ესქატოლოგიური დრო განმსაზღვრელია, IV-XI სს-ის ქართულ საისტორიო ნარატივში ეს მოტივი უფრო ზოგადი დისკურსით არის წარმოდგენილი. თუმცა, ისტორიოგრაფიაშიც ეკლესიის დრო პრევალირებს და მისი გადმოცემის სიმძაფრე მემატიანის განსწავლულობაზე და იმ მიზანზეა დამოკიდებული, რისი აღწერა სურს კონკრეტულ შემთხვევაში, მშრალი ქრონიკის თუ მეფის პანეგირიკის, რომელიც, პირველ რიგში, ფეოდალურ დროს განეკუთვნება.

9. ისტორიოგრაფიულ თხზულებებშიც წლიურ ციკლს თორმეტი თვე და ოთხი დრო ადგენს. დღის ქრონოლოგიური დაყოფა უფრო საეროა, ვიდრე საეკლესიო, ხოლო რაც შეეხება დროის ფატალისტურ კონცეფციას, იგი თითქმის უალტერნატივოა შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში.

მამული, მამულიშვილობა, იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით

ქეთევან მანია

XIX ს-ის II ნახევარში რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ქართული იდენტობა – რუსული მმართველობა გადაშენებით ემუქრებოდა ყოველივე ქართულს – ენას, კულტურას, ტრადიციას.

ქართული ინტელიგენციის უმთავრეს საზრუნავს მამული და საკუთარი ვინაობის დაცვა წარმოადგენდა. ამ მიზნით აქტიური პროპაგანდა გაიმართა ბეჭდურ მედიაში. მედია ამ მასალებით საერთო სატკივარის გარშემო რაზმავდა მკითხველ ერთობას, აძლიერებდა მკითხველებში იდენტობის განცდას, მოუწოდებდა მათ ეროვნული იდეალებისთვის ბრძოლა-თავგანწირვისაკენ. აქტიურად ჩაება ი. გოგებაშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ნაციონალური ძალის საძირკველს წარმოადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო. სამშობლო მიწა-წყალი, გარდა იმისა, რომ არის საარსებო ტერიტორია, ამასთან აქვს საკრალური მნიშვნელობა. იგი არის დიდებულ მამა-პაპათა სავანე. ამიტომაც ი. გოგებაშვილი უპირველესად მამულის დაცვაზე და ხალხში მამულიშვილური გრძნობის გაღვივების აუცილებლობაზე აკეთებდა აქცენტს. ეროვნული გრძნობის გაძლიერება მისი შეხედულებით, შესაძლებელი იყო ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდით. აღნიშნული თვალსაზრისით კი უდიდეს

კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა დიდი წინაპრების ზნეობრივი მაგალითების, სახელოვან მამულიშვილთა სასიკეთო საქმეების გამომხეურება და საზოგადოებისთვის მიწოდება-გაცნობა. წარსულის ღირსების გააქტიურებით საკუთარი ვინაობის დაცვისაკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს.

ი. გოგებაშვილი მიუთითებდა ერის კაცების სამაგალითო ღვაწლის შესაბამისი ღირსეული სახსოვრის დაწესების მნიშვნელობასაც. ამ მხრივ ხელს უწყობდა მათი სახელობის სტიპენდიის დაარსებას, მათდამი მიძღვნილი საღამოების გამართვას, მათი სახელის უკვდავსაყოფად სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინებას.

ეხმარებოდა მატერიალურად ხელმოკლე საზოგადო მოღვაწეებსაც. ღირსეული მამულიშვილების გაფრთხილებით, მათდამი მკითხველებში სოლიდარობის გრძნობის გაღვივებით და დახმარების სურვილის აღძვრით ცდილობდა „მოწოდების კაცების“ საზოგადო საქმეში აქტიური ჩართულობა განეპირობებინა.

უყურადღებოდ არ რჩება ხალხის ცნობიერების ამაღლებაში სახალხო მასწავლებლების დამსახურება, მასწავლებლის პატიოსნური ღვაწლის ხაზგასმა, რათა გაუკუღმართებულ საგანმანათლებლო სისტემის პირობებში ნამდვილ მაგალითებად ქცულიყვნენ და მისაბამები გამხდარიყვნენ საზოგადოებისთვის.

საზოგადოების გონებრივი გამოფხიზლებისა და გრძნობათა გაკეთილშობილების მიზნით ი. გოგებაშვილი აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა სამკითხველოების გახსნა-გამრავლების მიმართულებით.

ამდენად, ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება ქართველი ხალხის ნათელ მომავალზე, მისი ეროვნული და სოციალური ცხოვრების გაჯანსაღებაზე ზრუნვას მიუძღვნა. ჩვენი მშობლიური მიწა-წყლის, ქართული ენის შენარჩუნება-განვითარებისათვის ბრძოლით, წარსული ისტორიული მეხსიერების ხალხში გააქტიურებისა და მომავლის საერთო რწმენის შექმნით საზოგადოებრივი ერთობის ფორმირებას უწყობდა ხელს. იგი წარსული სიდიადის იდეალიზაციით აწმყომი მომავალს ქმნიდა.

ი. გოგებაშვილი იყო საზოგადო საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით შეპყრობილი, მამულიშვილობის და ჭემმარიტი ერისკაცის განსახიერება.

ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია ეთნოსიმბოლისტური და მოდერნისტული პარადიგმების მიხედვით

გიორგი მაჭარაშვილი

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართველოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის თანამედროვე დასავლური თეორიების მიხედვით ქართველთა ერთობის კონცეპტუალიზაცია, მისი ისტორიისა და ტიპოლოგიის შესწავლა და შეფასება. აღნიშნული პრობლემატიკის კვლევა საბჭოთა პერიოდში ჩვენს მეცნიერებს ძირითადად მარქსისტული პოზიციებიდან შეეძლოთ. ამრიგად, თანამედროვე დასავლური თეორიების შემოტანა ქართველოლოგიის სოციალურ და ჰუმანიტარულ მიმართულებებში უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

მოხსენებაში განვიხილავთ ქართველი ერისადმი მიძღვნილი თანამედროვე კვლევების ორ აქტუალურ საკითხს: I. როდის მოხდა ქართველთა ერთობის ერად ჩამოყალიბება და II. ტიპოლოგიურად ქართველი ერის იდეა სამოქალაქო ნაციონალიზმს მიეკუთვნება, თუ ეთნიკურს.

ქართველი ერის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მოდერნისტების პოზიცია ცალსახაა – მათი აზრით, ბეჭდური მედიის გაჩენამდე ერის არსებობა გამორიცხულია, რადგან არ არსებობდა საერთო საჯარო კულტურის გავრცელების შესაძლებლობა. ეს მხოლოდ მოდერნული დროიდან ხდება. ეთნოსიმბოლისტების პოზიცია განსხვავებულია. ე. დ. სმითი, მართალია, წერს, რომ ერების ჩამოყალიბება ძირითადად მოდერნულ დროში ხდება, მაგრამ, ამავე დროს, იგი შესაძლებლად მიიჩნევს გამონაკლისების არსებობას. იგი აღნიშნავს, რომ ერები ძველ დროშიც არსებობდა (მაგ.: ჩინელები, სპარსელები, ბერძნები, ებრაელები, სომხები ...). ჩვენი აზრით, ეთნოსიმბოლისტური თეორიის მიხედვით, ქართველთა ერთობაზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ასეთ ძველ ერთა რიცხვს მიეკუთვნება.

რაც შეეხება ქართული ეროვნული იდეის ტიპოლოგიას, ზოგიერთი ავტორი ცდილობს იგი წარმოაჩინოს როგორც სამოქალაქო (და არა ეთნიკური) ნაციონალიზმი. მ. ჩხარტიშვილი წერს, რომ „ქართველი“ მრავალეთნიკურობის აღმნიშვნელი სახელია.¹ ეს ნიშნავს, რომ ქართველთა ეთნოსს საკუთარი თვითდასახელებაც კი არ ჰქონია (წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გვქონდეს ალტერნატიული თვითდასახელება, რაც მრავალი საუკუნის მანძილზე არ ჩანს); მეტიც, ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველთა ეთნოსი არც კი არსებულა, რადგან ე.დ. სმითის თანახმად, თვითდასახელების არმქონე ერთობის არსებობა გამორიცხულია. მიუღებელია ასევე ს. რატიანის მოსაზრება, თითქოს მეცხრამეტე საუკუნემდე ქართველსა და სომეხს შორის ეთნიკური განსხვავება არ არსებობდა. უამრავი წყარო მოწმობს, რომ ქართველთა ერთობას წინა მოდერნის ეპოქაშიც ჰქონდა ეთნიკური თვითცნობიერება.

ხალხური და სასულიერო მმართველობის ისტორიის საკითხები განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – ხუცევი

ბექა მგელაძე

ქართველური სამყარო, ბუნებრივია, შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოებრივი სისტემაც, ძველი მსოფლიოს ორგანული ნაწილი იყო, რაც მოსახლეობის როგორც ადათობრივ, ისე სამართლებრივ და პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში აისახებოდა. შუა საუკუნეების საქართველოში ცალკეული ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი, უმთავრესად, მთიან რეგიონებში, სახელმწიფოებრივი სისუსტის ხანაში, სათემო ცხოვრებისა და თემის ადათობრივი პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ეს, პირველ რიგში, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო ორგანიზაციას ეხებოდა, თუნდაც, განვითარებული შუა

¹ ავტორი დამახინჯებულად წარმოადგენს ერთ-ერთი ჩვენთაგანის თვალსაზრისს ტერმინ „ქართველთან“ დაკავშირებით. ის მ. ჩხარტიშვილს მიაწერს წინამოდერნის ეპოქაში ქართული ერთობის თვითსახელწოდების არარსებობის მტკიცებას, მაშინ როცა ვითარება ამის საპირისპიროა და ამაზე მ. ჩხარტიშვილის არაერთი პუბლიკაცია მეტყველებს, რაც ავტორმა, როგორც მისმა ყოფილმა დოქტორანტმა, ძალიან კარგად იცის, ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდეს. სხვისი თვალსაზრისის არასწორი გადმოცემის გამო კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს, ცხადია, შეეძლო მოხსენება არ მიეღო და, შესაბამისად, არც მცდარი ინფორმაციის შემცველი თეზისები გამოქვეყნდებოდა, მაგრამ მაინც გადაწყდა ამ მოხსენების კონფერენციის პროგრამაში ჩართვა, რათა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცია ქართველი ერის ფორმირება და ქართველთა თვითსახელწოდების ისტორია, დისკუსიის გამლას ხელი შეეწყობოდა. – *რედაქტორების შენიშვნა.*

საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბექა-აღბუდას ფეოდალური კანონმდებლობის სახით. იმდროინდელი ქართული ფეოდალური სამართლის ამოსავალი ჩვეულებითი სამართალი იყო.

მაშინ, როცა საქართველოში სახელმწიფოებრივი კრიზისი იწყებოდა, პრიორიტეტული სახალხო სამართალი ხდებოდა, უხუცესთა – ხევისბერებისა და დეკანოზების საბჭოების, ხევისთავებისა და ეროვანების თანადგომით. წარსულში ეს *მოყრიანობისა* და *ოლქობის* და მათი წინამძღოლების, აჭარაში *ხუცეცისა* და *წინაძვაცების* სახელწოდებებით იყო ცნობილი. ჩვეულებათა მსგავს ციკლს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ტრადიციული ტრანსმისიის სახე ჰქონდა მიღებული – სამართლებრივი კულტურა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ყველაფერი ეს არამართო წერილობით წყაროებში, არამედ საქართველოში ბოლო პერიოდის ეთნოგრაფიულ წყაროებშიცაა ასახული, რა თქმა უნდა, ისტორიული რეპრეზენტაციის თვალსაზრით ფოლკლორული პანორამაც მნიშვნელოვანია.

საქართველოში წარსულში თემთან და ეკლესიასთან მმართველობითი და სამართლებრივი ხასიათის ისეთი საკითხები იყო იდენტიფიცირებული, როგორებიც სამოქალაქო და სისხლის სამართალი იყო, კერძოდ, სათემო და საეკლესიო მიწისმფლობელობა, მიწის თუ სხვა ტიპის საკუთრებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების მოწესრიგება, თემთა შორის კონფლიქტების დარეგულირება, სისხლ-მესისხლეობის, ადათობრივი ნორმებისა თუ საეკლესიო დოგმების დარღვევის დროს წარმოქმნილი პრობლემების მოწესრიგება, რაც საერო და სასულიერო მმართველობითი ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელების კომპეტენციასა და განკარგვის სფეროში შედიოდა. ასე იყო განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ეს კარგად ჩანს განვითარებული შუა საუკუნეების სამცხე-საათაბაგოში, ხოლო გვიანი შუა საუკუნეების - აჭარაში. მმართველობის აღნიშნული სისტემა სამცხე-საათაბაგოში *ხუცის* (*ხუცეცის*), ხოლო აჭარაში – *ხუცეცის* სახელოსთან იყო გაიგივებული, რომლებიც, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში სასულიერო და საერო მმართველის ფუნქციებს აერთიანებდა.

ქართველური წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფების ისტორიისათვის: ზანთა სატომო განშტოების – ლაზების – ვინაობისათვის

ნუგზარ მგელაძე

ბიზანტიურ წყაროებში ლაზეთის აღმნიშვნელად *ლაზიკე* ფორმას ვადასტურებთ, ხოლო *ლაზია*, როგორც მიიჩნევენ, ქართულ ლიტერატურაში ბიზანტიურიდან მწიგნობრობის გზით დამკვიდრდა. ეთნონიმი „ლაზი“ კოლხეთში შედარებით გვიან ჩნდება. შუა საუკუნეებში ქართული ისტორიოგრაფიისათვის ცნობილი იყო *ლაზეთი* ლაზების სახელწოდების მატარებელი მოსახლეობით, ხოლო ოსმალთა შემადგენლობაში აღნიშნული ტერიტორია *ლაზისტანად* იწოდებოდა. მეცნიერთა ნაწილი ასკვნის, რომ *ლაზი* არის *ზანის* სახემეცვლილი ფორმა. ლაზები იგივე ზანები არიან.

როგორც წერილობითი დოკუმენტებით ცნობილია, ტრაპეზუნტი ლაზთა ქალაქი იყო. ჩვენს წელთაღრიცხვამდელ ბერძნულ წყაროებში კოლხური დასახლებები არაერთხელ იხსენიება, მაგრამ იქვე ჩამოთვლილ სათემო თუ სატომო დაჯგუფებებს შორის კონკრეტულად ეთნონიმ *ლაზის* მატარებელი ტომები არ სახელდება, თუმცა

ზოგიერთი ავტორი ცდილობს უძველესი სატომო გაერთიანების სახელწოდება *ლოსში* (ლოსი - ლუსა - ლუმა) ლაზი ამოიკითხოს. ბუნებრივია, ეს ფაქტი ახსნას მოითხოვს. შესაძლებელია ლაზთა ეთნოგრაფიული გაერთიანება ანტიკურ პერიოდში ცნობილი იყო განსხვავებული ეთნონიმით ანდა მის სახელს ჰეგემონი, უფრო ზუსტად, დომინირებადი სატომო გაერთიანების სახელწოდება ფარავდა.

ლაზთა წარმომავლობის შესახებ ყურადღებას ბერძნულ წერილობით წყაროებში გავრცელებული სხვა შეხედულებაც იქცევს. ამ შეხედულებით, ეთნონიმი *ლაზი* *პელაზგთან* იყო დაკავშირებული.

მიუხედავად რიგი ვარაუდისა, საკუთრივ ეთნონიმ *ლაზის* ეტიმოლოგიური ამოსავალი, მაინც, ქართველურ ენებში უნდა დაიძებნოს. სვანურს სიტყვა *ზანარსა* და *ლაზანში* პროქართული ენისათვის დამახასიათებელი *ზან* ფუძე უნდა ჰქონდეს შემონახული. სვანები მეგრელებს *ზანარს* უწოდებენ. თავის დროზე, იოსებ ყიფშიძეც, ტერმინ *ლაზს* სვანური წარმოებისად თვლიდა, როგორც ამას ნიკო მარი ვარაუდობდა, რომელსაც ლაზი სვანური *ლაზანიდან* და *ლაზნიდან* გამოჰყავდა. ასევე, იოსებ ყიფშიძე ტერმინ *ჭანის*, კ/ჭ ბგერათმენაცვლების საფუძველზე, ბიბლიური *კაენისგან* წარმომავლობას დასაშვებად მიაჩნევდა, თუმცა დებულება, *ჭანის კაენისგან* მომდინარეობის შესახებ, არა მარტო ისტორიული, არამედ ფონეტიკური თვალსაზრისითაც, დამაჯერებლად არ გამოიყურებოდა, რის გამოც მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მიერ იგი არ იყო გაზიარებული.

რომაული და ადრებიზანტიური ხანის წყაროების *ლაზი* იმავე ფუნქციას ასრულებდა, რომელიც ფართო მნიშვნელობით ძველბერძნულ *კოლხს* გააჩნდა. აგრეთვე, ჩვენი წელთაღრიცხვის I – II საუკუნეებიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და, შესაბამისად, იბერიაში (ქართლში) მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგად, ეთნონიმ *ლაზის* ფუნქცია თანდათანობით დავიწროვდა და დროთა განმავლობაში, უკვე XI საუკუნისათვის, ზანური ტომის ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფის გამაერთიანებელ შემკრებლობით ზოგად პოლიტიკურ ტერმინად მეგრელი ჩამოყალიბდა. ამის გამო იყო XI საუკუნის მემატთანე, ლეონტი მროველი, როცა ქრისტიანობის გავრცელების მიზნით ანდრია მოციქულის კოლხეთსა და იბერიაში მიმოსვლის ამბებს აღწერდა, ბუნებრივია, მისი ეპოქის გეოგრაფიული გადასახედიდან და ადმინისტრაციული რეალობიდან გამომდინარე, ტრაპეზუნტთან I საუკუნეში არსებულ დასახლებებს „მეგრელთა სოფლებად“ რომ მოიხსენიებდა.

ამრიგად, დასახელებულ პრობლემასთან დაკავშირებით ძველ წყაროებში და, შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში ორი ძირითადი თვალსაზრისია გამოკვეთილი: 1. ჭანი და ლაზი ისტორიულ ხანაში თანაარსებობდნენ, ურთიერთმონათესავე გაერთიანებები იყვნენ, ე. ი. ორ სხვადასხვა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, რომელთაგან ერთ-ერთმა - ლაზმა, დროთა განმავლობაში, პირველი გადაფარა და გენეტიკურადაც აითვისა; 2. ეს ორი ეთნონიმი იყო არა სინქრონული, არამედ დიაქრონული წარმონაქმნი. ისინი ზანური სატომო გაერთიანების ერთი და იმავე ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ დაჯგუფებას აღნიშნავდნენ. ანტიკურ პერიოდში ამ გაერთიანებას სანი, იგივე, ჭანი ეწოდებოდა, ხოლო, როგორც ჩანს, ელინისტიური ხანიდან, ახ. წ. II საუკუნიდან, რომელთა ექსპანსიის ხანაში, მას ლაზი ჩაენაცვლა. ამას მეტ-ნაკლებად არა მარტო წერილობითი წყაროები, არამედ ტოპონიმები და, საერთოდ, ლექსიკაც მხარს უნდა უჭირდეს.

საბოლოო ჯამში, აქედან გამოდის, რომ *ჭანი* და *ლაზი* ურთიერთმონათესავე, მაგრამ ორი სხვადასხვა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის აღმნიშვნელი სახელი იყო, არიანესა და პროკოპის ხანებში მაინც. ჭანები პონტოს მთის მკვიდრნი იყვნენ,

ხოლო ლაზები - შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და მიმდებარე გორა-ბორცვების ტერასებზე, ამ გორათა მცირე ხეობებში ბინადრობდნენ. დროთა განმავლობაში, სავარაუდოა, ლაზთა სამეფოს წარმოქმნის პერიოდიდან, ეთნონიმ *ლაზს* არა მარტო ეთნონიმი *სანი* (*ჰანი*) შეერწყა, არამედ ჰენიოხი, მაკრონი, მიდრიტი. შემდგომში მათი ნაწილი, განსაკუთრებით, მთის ჰანები გაქართდა, ხოლო ნაწილი – ლაზებში აითქვიფა. ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში და საისტორიო მწერლობაში, მითითებულ გეოგრაფიულ არეალებში, კოლხთა აღნიშნული განშტოებები, უპირატესად, *ჰანის*, ანტიკური ეპოქის ძველბერნულში – *სანის*, ხოლო ელინისტური პერიოდის რომაულ და ადრემუხასაუკუნეების ბიზანტიურ ლიტერატურაში – *ლაზის* სახელწოდებითაა ცნობილი. ნიშანდობლივია კინტრიმის ხეობაში ლაზიშვილების გვარის წარმომადგენლებს *ჰანებს* რომ ეძახიან. მთელს ანატოლიაში ამ უძველეს კოლხურ დაჯგუფებებს დღესაც ხან ლაზებს, ხან ჰანებს უწოდებენ, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე *ჰანი ლაზის* თანაბარ ცნებად იქცა, ანდა, შესაძლოა, პირიქითაც მოხდა, კერძოდ, აღნიშნული ეთნოგრაფიული წყაროები თითქოსდა მიანიშნებს იმ პერიოდის რეალობაზე, როცა *ლაზმა ჰანი* გენეტიკურად გაითავისა. აქვე გასათვალისწინებელია სხვა ტიპის ეთნოგრაფიული დაკვირვებაც, მაგალითად, ის, რომ რეალურ სივრცეში *ლაზები ჰანობას* დღესაც უკადრისობენ, რაც, თუ ეს ფაქტი ობიექტური ისტორიული რეალობის ასახვაა, ოდესღაც, ორივე ეთნონიმის, მთაში ლაზების და ბარში ჰანების თანაარსებობას უნდა გულისხმობდეს.

კოლხთა მოქცევის არქანჯელო ლამბერტისეული ვერსია

დავით მერკვილაძე

იტალიელი მისიონერი, არქანჯელო ლამბერტი კოლხთა მოქცევის თავისებურ ვერსიას გადმოგვცემს 1657 წელს ნეაპოლში იტალიურ ენაზე გამოცემულ ნაშრომში: „წმინდა კოლხეთი“. წარმართობის ხანაში ძველი კოლხების ცხოვრების წესზე და შემდეგ მათი თანდათანობითი მოქცევის შესახებ მსჯელობისას იგი ეყრდნობა შემდეგ ავტორებს: ჰომეროსი, სტრაბონი, ჰეროდოტე, ეფორი, ტერტულიანე, ორტელიუსი, ბარონიო. აღსანიშნავია, რომ მას ხშირად მოჰყავს ციტატები ლათინურ ენაზე ზემოდასახელებული ავტორების ნაშრომებიდან, მათ შორის, ბერძნული წყაროების ლათინური თარგმანებიდან და მხოლოდ ჰომეროსის ცნობის ციტირებისას ესეისება სტრაბონს. ახალი აღთქმიდანაც (საქმე მოციქულთა, წმ. პეტრეს ეპისტოლე) იყენებს ცნობებს. ლამბერტი ასევე ცდილობს ზემოხსენებულ მონაცემებს შეუთავსოს თავის სამისიონერო მოღვაწეობისას საქართველოში სმენილი ამბებიც.

ლამბერტი თავიდან ხაზს უსვამს შავი ზღვის მიდამოებში მცხოვრებთა უკიდურეს ველურობასა და სისასტიკეს (სტრაბონი, ტერტულიანე). თუმცა ამის საპირისპიროდ მას სტრაბონთან ამოუკითხავს ჰომეროსის სიტყვებიც სხვებზე მეტად პონტოელების წესიერების შესახებ. ლამბერტი ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების ასახსნელად გვთავაზობს შემდეგ ვერსიას: ველურ პონტოელებს შორის, მართლაც, უნდა ეცხოვრა წესიერებით გამორჩეულ ხალხსაც და ისინი სავარაუდოდ სწორედ კოლხები უნდა ყოფილიყვნენ. კოლხების წესიერებას, მისი აზრით, ერთი მხრივ მათი სიღარიბე განაპირობებდა, მეორე მხრივ, კი – ცოდნა „ჭეშმარიტი ღმერთის“ შესახებ,

რომელიც კოლხებს უნდა მიეღოთ მსოფლიოში გაფანტვის შემდეგ პონტოში მოხვედილი ებრაელებისაგან.

იტალიელი მისიონერი კოლხებში ებრაულ გავლენას ხედავს ჰეროდოტეს ცნობაშიც მათ მიერ წინადაცვეთის გამოყენებისა და ეფორის ცნობაში კოლხების მიერ ზოგიერთი ცხოველის ჭამისაგან თავშეკავების შესახებ; ასევე იმერეთის მეფის მიერ საკუთარი თავის ბიბლიურ მეფეთა, დავითისა და სოლომონის შთამომავლად მიჩნევაში. კოლხები რომ ქრისტეს განხორციელებამდე ეზიარნენ ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ ცოდნას, ლამბერტის აზრით, დასტურდება „მოციქულთა საქმენიდანაც“, სადაც სულთმოფენობის დღეს იერუსალიმში სხვა ერთა შორის დასახლებულნი არიან პონტოელებიც, რომელთაც წმ. პეტრეს ქადაგების მოსმენის შემდეგ სამშობლოში უნდა ჩაეტანათ მესიის მოვლინების ამბავი.

კოლხთა გაქრისტიანებას ლამბერტი უკავშირებს მოციქულ ანდრიას ქადაგებას. მისი სიტყვით, ვინაიდან ანდრიას წილად ხვდა კოლხების მოსაზღვრე სკვითია, რომლის ერთი ნაწილიც აბასხებითაა დასახლებული, ამიტომ ანდრია კოლხეთში აბასხებიდან უნდა შესულიყო. მოციქულ ანდრიას აფხაზეთში ქადაგების ასახვად ლამბერტის მიაჩნია წმ. ანდრიას სახელობის ტაძრის არსებობა ბიჭვინთაში.

ლამბერტი აკრიტიკებს კარდინალ ბარონიოს მოსაზრებას, რომ კოლხები იბერებთან ერთად იმპერატორ ტრაიანეს მიერ ხერსონესში გასახლებულმა წმ. პაპმა კლიმენტიმ აზიარა ქრისტიანობას, ვინაიდან პაპი საქართველოში მოსახვედრად ვერ შემლბდა გადასახლების ადგილიდან ამდენად გრძელი და სახიფათო გზების გავლას და გადასახლებაში მყოფს არც ასეთი მოგზაურობის უფლება ექნებოდა. ამიტომ კოლხებთა შორის ქრისტიანობის დანერგვას ისევ ანდრია მოციქულის მოღვაწეობის შედეგად მოიაზრებს. თუმცა შემდგომ ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ ცოდნა კოლხებში დაკარგულა და საჭირო გამხდარა მათი ხელახლა მოქცევა, რაც, არქანჯელო ლამბერტის აზრით, იმპერატორ კონსტანტინე დიდის ხანაში განხორციელებულა.

საბა და ერასტი ორბელიანებისთვის ირანიდან გაგზავნილი სამძიმრის წერილის ავტორის – გიორგი მდივნის ვინაობის დადგენისათვის

ლადო მირიანაშვილი

ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ისტორიის რიგი საკითხებისა და თანადროული საზოგადოების აზროვნების სტილისა და კულტურის წარმოსაჩენად. გიორგი XI-ის მოღვაწეობის საკითხებზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მეფის მდივან-მწიგნობრის, გიორგი მდივნის მიერ საბა და ერასტი ორბელიანებისთვის ირანიდან მიწერილმა წერილმა მიიპყრო, რომლითაც უმცროსი ძმის – ვახუშტის გარდაცვალებას უსამძიმრებს. ვახუშტი გიორგი XI-ს ირანში ახლდა თან და 1707 წელს ქალაქ ყანდაარში სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამის გათვალისწინებით, სამძიმრის წერილიც 1707 წლით უნდა დათარიღდეს. ის პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა „საქართველოს სიძველენის“ მეორე ტომში გამოაქვეყნა (№177). ნახსენები წერილი შესაბამისი კომენტარებით მამისა ბერძნიშვილის მიერ შედგენილ „ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსის“ პირველ ტომშია შეტანილი. მ. ბერძნიშვილმა, არგუმენტების მოუხმობლად, მდივანი გიორგი საქართველოს მეფეთა კარის მდივან-მწიგნობართა ცნობილი გვარის – თუმანიშვილთა ჩამომავლად მიიჩნია. გიორგი (გიორგიბეგი) თუმანიშვილი, მართლაც, იყო გიორგი XI-ის მდივან-

მწიგნობარი, ოღონდ მისი ზეობის პირველ ნახევარში (ანუ 1688 წელს მისი მეფობიდან გადაყენებამდე). 1679 წლის შემდეგ გიორგიბეგის მიერ დაწერილ დოკუმენტებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მეფე გიორგი XI-ს თუმანიშვილთა საგვარეულოდან გამოსული სხვა მდივან-მწიგნობრებიც ჰყავდა (გივი, სულხანი და ოთარი).

მეფის კარის მდივან-მწიგნობრობა ერთ-ერთი უძველესი თანამდებობაა: ის ბიბლიაშია დამოწმებული (4 მეფეთა 12:11). სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ H-1429 ხელნაწერი ნუსხის განმარტებით, მდივანი „უსტართა მწერალია“, S-2498 ნუსხის თანახმად – „მწიგნობარია“, ხოლო H-416 ნუსხის მიხედვით – „კაი მწიგნობარი“. მდივან-მწიგნობრობა სამეფო კარზე ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა იყო. ეს მოხელე ოფიციალურ დოკუმენტებს – სიგელ-გუჯრებს წერდა. ამასთან ერთად, მდივან-მწიგნობრები ხელნაწერებსაც გადაწერდნენ. მაგალითად, გიორგი XI-ის მდივნის, გივი თუმანიშვილის მიერაა გადაწერილი ხელნაწერები S-424 (კრებული – მეფე არჩილის იამბიკოები და სხვ.), H-3061 (ვეფხისტყაოსანი) და Q-164 (ვახტანგის სამართალი).

როგორც ვახტანგ VI-ის დასტურლამალიდან ჩანს, ქართლის სამეფოში ორი მთავარი მდივანი იყო: „მეფის მდივანი“ და „დედოფლის მდივანი“. ამათ გარდა, სამეფო კარს კიდევ რამდენიმე მდივანი ჰყავდა. თავდაპირველად, მდივან-მწიგნობრები მხოლოდ სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ, მოგვიანებით კი პირადი მწიგნობრების სამსახურით ფეოდალებიც სარგებლობდნენ. მდივან-მწიგნობრობა დოკუმენტების შედგენასა და წერაში დახელოვნებას მოითხოვდა. სამდივნო წიგნებმა სიგელების „დაწერილობის“ სპეციალურად შემუშავებული წესები შემოგვინახა. მდივან-მწიგნობრის პროფესია, მეტწილად, საგვარეულო ხელობა იყო და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მწიგნობართა რიცხვით, განსაკუთრებით, თუმანიშვილთა საგვარეულო გამოირჩეოდა.

ჩემი მოხსენების პირველი ნაწილი გიორგი XI-ის ირანში მოღვაწეობის პერიოდში მისი მდივან-მწიგნობრის ვინაობის დადგენას ეძღვნება. იმის გარკვევაში, თუ კონკრეტულად ვინ იყო გიორგი მდივანი, უოლტერსის ხელოვნების მუზეუმში დაცული, ქართული მინიატურული სახარების მინანქრით გაფორმებულ ოქროს ბუდეზე მხედრულით შესრულებული წარწერა დამეხმარა. ბუდის აღწერა და წარწერის ტექსტი ექვთიმე თაყაიშვილსა და ვახტანგ ჯობაძეს აქვთ გამოქვეყნებული. წარწერაში ნახსენებია, რომ სახარება შაჰნავაზ მეორის მდივანმა გიორგი კვინიხიძემ 1707 წელს მოაჭედინა.

კვინიხიძეების გვარის შესახებ ისტორიულ წყაროებსა და საბუთებში ინფორმაცია საკმაოდ მწირია. მათი გვარი ვერ მოხვდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ ონლაინ-ცნობარში „ისტორიული დოკუმენტების დამწერნი“ (შემდგენელი გ. მჭედლიძე). კვინიხიძეები იმერელი აზნაურები იყვნენ. გიორგი XI-ის მიერ იმერელი კაცის მდივან-მწიგნობრად აყვანას შემდეგ ისტორიულ გარემოებას ვუკავშირებ: როგორც ცნობილია, მას შემდეგ რაც 1688 წელს ირანის შაჰმა გიორგი XI მეფობიდან გადააყენა, ეს უკანასკნელი იმერეთში გადავიდა და იქიდან, თავის პოლიტიკურ მოკავშირე პაპუნა რაჭის ერისთავის დახმარებით, სამეფო ტახტის დაბრუნებას შეეცადა. როგორც ჩანს, უტახტო მეფემ თავის მდივნად გიორგი კვინიხიძე სწორედ იმერეთში აიყვანა და ირანშიც თან იახლა.

გიორგი კვინიხიძის ხელით დაწერილი აღმოჩნდა 1712 წლის 28 აპრილს ვახტანგ VI-ის მიერ ინდო გაბაშვილისადმი ბოძებული სიგელი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გიორგი XI-ის გარდაცვალების შემდეგ გიორგი კვინიხიძე საქართველოში დაბრუნებულა და ვახტანგ VI-ის კარზე კვლავ მდივან-მწიგნობრის რანგში გაუგრძელებია მოღვაწეობა.

საინტერესო ცნობას კვინიხიძეთა გვარის მდივან-მწიგნობრობასთან დაკავშირებით, იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძში მივაკვლიე. 1758 წელს იესე ბარათაშვილი მოლარეთუხუცესის თანამდებობიდან გადააყენეს და კალიგრაფ-მდივნად დანიშნეს. ამასთან დაკავშირებით იგი შემდეგს წერს: „მდივნობა მიბოძა ბატონმა, კვინიხიძის ქართველის მდივნის წილი“ (განსახილველი ტექსტის საძიებელში „ქართველის“ ნაცვლად „ქართლის“ წერია). ეს კვინიხიძე გიორგი კვინიხიძის შვილი უნდა იყოს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კვინიხიძეების გვარიდან რამდენიმე მდივან-მწიგნობარი იყო გამოსული და ისინი ქართლის მეფის კარზე მოღვაწეობდნენ.

ჩატარებული კვლევიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს: 1. გიორგი XI-ის ირანში მოღვაწეობის პერიოდში მისი მდივან-მწიგნობრის მოვალეობას იმერელი აზნაური გიორგი კვინიხიძე ასრულებდა; 2. გიორგი კვინიხიძის გიორგი XI-ის მდივნის რანგში მოღვაწეობის პერიოდად, სავარაუდოდ, 1688 – 1709 წლები უნდა განისაზღვროს; 3. გიორგი XI-ის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი კვინიხიძე საქართველოში დაბრუნდა და ვახტანგ VI-ის მდივან-მწიგნობრად გააგრძელა მოღვაწეობა. 4. კვინიხიძეების გვარიდან რამდენიმე მდივან-მწიგნობარი იყო გამოსული, რომლებიც ქართლის სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ.

მოხსენების მეორე ნაწილი თავად სახარების ბუდეზე შესრულებული წარწერის შესწავლის შედეგებს ეძღვნება. უოლტერსის ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელობის ნებართვით, შესაძლებლობა მომეცა მაღალი გარჩევადობის ციფრული ფოტოების მეშვეობით მეშუშავა ამ წარწერაზე, გადმომეღო მისი პალეოგრაფიული პირი და დაზუსტებები შემეტანა ტექსტის გამოქვეყნებულ, თავისუფალ წაკითხვაში.

სოფელ ლეხაურის აღსარების მთქმელთა დავთარი (1842 – 1887 წწ.)

გულიკო მჭედლიძე

ქართულ წყაროთმცოდნეობაში აღსარების მთქმელთა დავთრებს დიდი ისტორიული ღირებულება გააჩნიათ. სამწუხაროდ, აღსარების მთქმელთა დავთრები სათანადო დონეზე არ არის შესწავლილი და გამოცემული.

აღსარების მთქმელთა დავთარი სანდო ისტორიული წყაროა, შედგენილი თანამედროვის მიერ და მრავალმხრივი, საინტერესო ინფორმაციის შემცველი. აღსარების მთქმელთა დავთარს აქვს სათაური, მითითებულია წელი და ის ეკლესია, სადაც მოხდა მღვდლის მიერ აღსარების ჩაბარება.

ლეხაურის (დღევანდელი სოფელი ლიხაური) დავთრის სათაურია: „აღსარების მთქმელთა სია გურია-სამეგრელოს ეპარხიის ლეხაურის ღვთისმშობლის ეკლესიიდან“. დავთარი აკინძულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაუცველად, იწყება 1887 წლიდან დაღმავალი მიმართულებით და მთავრდება 1842 წლის დავთრით. ერთად აკინძულია 45 წლის დავთარი, აქვს მაგარი ყდა. არა აქვს პაგინაცია, მაგრამ დავთრები წლების მიხედვით არის დანომრილი.

აღსარების მთქმელები სამ წოდებად იყოფიან: სამღვდელოება, აზნაურ-ჩინოვნიკები და გლეხები. ლეხაურის აღსარების მთქმელთა დავთარში მითითებულია კომლთა რაოდენობა, დაბადების წელი („წელნი შობიდგან“), ნაჩვენებია სქესი და ჩამოთვლილია ოჯახის ყველა წევრი, ასაკის მითითებით.

ლეხაურის მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის მრევლი აღსარების თქმის მიხედვითაც სამ კატეგორიად იყოფა: რომელთაც თქვეს აღსარება და ეზიარნენ წმიდათა საიდუმლოთა; რომელთა თქვეს აღსარება და არ ეზიარნენ რაიმე მიზეზით; რომელთა არა თქვეს აღსარება და არც ეზიარნენ. დავთარში ისიც არის მითითებული, თუ რატომ არ თქვეს აღსარება: მცირეწლოვანების, ავადმყოფობისა და სხვაგან ყოფნის გამო.

ლეხაურის აღსარების მთქმელთა დავთარი საინტერესოა გვარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც და დემოგრაფიის კუთხითაც.

ეს დავთარი ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული დოკუმენტების საცავში – Qd 11965.

ლეხაურის აღსარების მთქმელთა დავთარი შეიცავს მდიდარ და მრავალფეროვან ინფორმაციას ლეხაურის მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის მრევლის შესახებ.

ალექსანდრე ამილახვრის „გეორგიანული ისტორიის“ რუსულ იმპერიულ იდეოლოგიასთან მიმართების საკითხისათვის

მამუკა ნაცვალაძე

1779 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოქვეყნდა ალექსანდრე ამილახვარის თხზულება „გეორგიანული ისტორია“. ამ წიგნით ერთმანეთს გადაეჯაჭვა რუსეთის საიმპერატორო კარისა და ამილახვრის ინტერესები. ორივე ქართლ-კახეთის მეფის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

წიგნის დაწერის იდეა ალექსანდრეს გრიგორი პოტიომკინმა ჩააგონა, სწორედ მას მიუძღვნა ამილახვარმა ეს თხზულება, როგორც თავად ამბობს, „ძველი ტრადიციის თანახმად“. პოტიომკინი იმპერატორის ეკატერინე მეორის არაოფიციალური ქმარია, ფაქტობრივად, ის განაგებს სამეფოს, ამდენად, ბუნებრივია, რომ ამილახვრის თხზულება საკმაოდ პოლიტიზებულია.

1783 წელს, მას შემდეგ რაც გეორგიევსკის ტრაქტატი გაფორმდა, ერეკლეს მოთხოვნით წიგნი აკრძალეს, ალექსანდრე ამილახვარი კი ვიბორგის ციხეში გამოკეტეს. თუმცა, როგორც ირკვევა „გეორგიანული ისტორია“ რუსეთის საიმპერატორო კარმა ოცი წლის შემდეგ, 1799 წელს ხელახლა გამოსცა.

ჩვენ მეტად ორიგინალურ ცნობას მივაკვლიეთ პროფესორ დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის ჩამონათვალში. საქმე ეხება იმას, რომ 274-ე ნომრით აქ მოცემულია 1799 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოცემული ამილახვრის „გეორგიანული ისტორია“. უნდა აღინიშნოს, რომ სათაური მოყვანილია სრულად და ზუსტად იმეორებს წიგნის ვარიანტს. 275-ე ნომრით კი მინიშნებულია იგივე წიგნი – ამილახვრის „გეორგიანული ისტორია“, სანქტ-პეტერბურგში რომ გამოუციათ ხელმეორედ ოცი წლის შემდგომ, 1799 წელს.

1799 წლის ანუ მეორე გამოცემის თარიღი, შესაძლოა, მიგვეჩნია სტამბურ შეცდომად, რადგანაც პირველი, ჩვენს ხელთ არსებული გამოცემა, დაიბეჭდა ოცი წლით ადრე, 1779 წელს. სრულიად ბუნებრივი იქნებოდა ამგვარი უზუსტობა, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ერთი ციფრის შეცვლას, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს გამორიცხებულია, რადგანაც ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის აღწერისას, რაც თემატურადაა დალაგებული, ორივე გამოცემა სხვადასხვა ნომრით, ამასთანავე, გვერდიგვერდაა მითითებული (#274 და #275); თანაც წიგნების დასახელება განსხვავებულადაა წარმოდგენილი. პირველი 274-ე ნომრით არსებული 1779 წლის გამოცემა სრული სათაურით (აქ მინიშნებულია არა

მარტო სათაური, არამედ ის, რომ პირველგვერდზე მოცემულია ამილახვრის პორტრეტი, მისი დაბადების თარიღი), ხოლო 275-ე ნომრით არსებული 1799 წლის გამოცემა – მოკლე სათაურით, აბსოლუტურად ზედმეტი ცნობებისა და ინფორმაციის გარეშე.

ზუნებრივია ისმის კითხვა – მაინც რამ გაახსენა რუსეთის საიმპერატორო კარს ოცი წლის წინ დაწერილი თხზულება, რომლის ავტორიც თავადვე გამოკეტა ვიბორგის ციხეში?

საქმე ისაა, რომ 1799 წელს მეტად საინტერესო წერილს წერს ალექსანდრე ამილახვარი, ადრესატი არავინაა, ეს არის იმჟამინდელი პოლიტიკის საკმაოდ საინტერესო შეფასება. ალექსანდრე ამილახვარი არ აღმოჩნდა რუსეთისათვის მართული, ამიტომაც საიმპერატორო კარის მესვეურნი დადარაჯებულები არიან მის ყოველ ნაფიქრსა და ნააზრევს.

სწორედ ამილახვრის ნააზრევმა კიდევ ერთხელ ამოატივტივა ის თხზულება, თავის დროზე ბაგრატიონთა დისკრედიტაციას რომ ისახავდა მიზნად. 1799 წელს ყველაზე მეტად სწორედ ბაგრატიონთა დისკრედიტაცია სჭირდება რუსეთს იმპერიული მიზნების აღსრულებისათვის, რათა ამგვარი მორალური ზეწოლით მოახერხოს ანექსიის იდეის შეფუთვა ლეგიტიმაციის საბურველით.

ნაპოლეონის ემისრების ცნობები აზას მირზას ლაშქრის შესახებ რუსეთ-სპარსეთის პირველი ომის დროს (1804 – 1813)

ორინე ნაწყები

ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ დაგეგმილ ლაშქრობაში საფრანგეთის პოტენციური მოკავშირის, სპარსეთის, უკიდურესი სამხედრო სისუსტის შესახებ პირველი ინფორმაცია ეკუთვნით ნაპოლეონის ემისრებს – გენერალ ალექსანდრ რომიესს (1805) და ამედე ჟობერს (1807). ამ ინფორმაციის გათვალისწინებით, საფრანგეთსა და სპარსეთს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების (4.5.1807) მეშვიდე მუხლით საფრანგეთის მხარე სპარსეთის ლაშქარში სხვადასხვა სამხედრო სამსახურის ოფიცრების დახმარებით ფრანგული სამხედრო რეფორმის გატარების ვალდებულებას იღებდა.

1807 – 1809 წლებში თეირანის კარზე მივლინებული საფრანგეთის სრულუფლებიანი მინისტრის, გენერალ გარდანის მისიის შემადგენლობაში მყოფ ოფიცერთაგან, სპარსეთში სამხედრო რეფორმის გატარება პირველმა საინჟინრო საქმეთა კაპიტანმა, ოგიუსტ ბონტამ-ფორმა, დაიწყო. მან დეტალურად აღწერა რუსეთის წინააღმდეგ მეზობელი ტახტის მემკვიდრის, მეფისწულ აზას მირზას (1789-1833) ფეოდალური ლაშქარი და ყურადღება მიაქცია იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ მოლაშქრეებს არ ჰქონდათ მხედრული ღირსების გრძნობა. კაპიტანმა გაათავისუფლა ლაშქარი ზედმეტი ბარგისაგან, შეამცირა ზარბაზნების დატენვის სიმძლავრე, ათარგმნინა ინფანტერიის გასაწვრთნელი ინსტრუქციები და სხვ. ეს მასალა დაცულია მის მოხსენებით ბარათსა („Détails sur l'Armée Persan“) და თხზულებაში (Lettres d'un officier français, S. I., S. d.).

ამავე მისიის წევრმა, საინჟინრო საქმეთა კაპიტანმა, არმან-ფრანსუა ლამიმ, თავრიზში ჩამოაყალიბა სპარსეთში პირველი ფრანგული ყაიდის სამხედრო სკოლა, რომლის მიზანი რეგულარულად ორგანიზებული საჯარისო ნაწილების ოფიცრების

მომზადება იყო. კაპიტანმა ათ ახალგაზრდა სპარსელს შეასწავლა ფრანგულად წერა-კითხვა, ფორტიფიკაციის წესები, ტოპოგრაფიული ნახაზები და სხვ. ეს მასალა დაცულია მის მოხსენებით ბარათში („Essai sur un projet d'Ecole militaire dont l'objet seroit de former des officiers pour les troupes persanes régulièrement organisés“).

გენერალ გარდანის მისიის შემადგენლობაში მყოფი ყველა ოფიცრის მნიშვნელოვანი დამსახურება იყო აბას მირზას მოლაშქრეთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება, რაც 1808 წლის შემოდგომაზე გენერალ გუდოვიჩის მიერ ერევნის ალყის დროს გამოჩნდა.

მოხსენებაში წარმოდგენილი მასალა ძირითადად საფრანგეთის სხვადასხვა არქივებში დაცულ დოკუმენტებს ეყრდნობა.

ვინ არის ბრიტანული ეპიგრაფიკული წყაროების BACVRA?

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი

რომაულ-ბერძნული წყაროებიდან ისტორიოგრაფიისთვის ცნობილი მეტად საინტერესო ქართველი მოღვაწის ბაკურ იბერიელის შესახებ ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივი ცნობები შემოგვრჩა. სტატიის მიზანია ბრიტანული არქეოლოგიურ-ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით აღადგინოს მისი ცხოვრების გარკვეული პერიოდის (368 – 378 წწ.) ეპიზოდი და მისი კავშირები იმდეროინდელ რომაულ სამხედრო და პოლიტიკურ ელიტასთან.

დაბა თიანეთის დემოგრაფიული მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში (საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

საბა სალუაშვილი

წინამდებარე კვლევა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაკლებად შესწავლილ საკითხს – ისტორიულ დემოგრაფიას შეეხება. კერძოდ, მოხსენებაში განხილული იქნება დაბა თიანეთის დემოგრაფიული მდგომარეობა XIX საუკუნის I ნახევარში.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოითქვა დასაბუთებული ვარაუდი დაბა თიანეთში 1802, 1821, 1831, 1842 და 1843 წლებში მცხოვრებ მოსახლეობათა რაოდენობის შესახებ. დადგინდა მცხოვრებთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რამაც საშუალება მოგვცა დაგვესკვნა, რომ დაბა თიანეთის მოსახლეობაში ბავშვთა (0 – 14 წელი) და შრომისუნარო (60 წლისა და უფროსი ასაკის) მოსახლეობასთან შედარებით, ყოველთვის მაღალი იყო შრომისუნარიან (15 – 59 წლის ასაკის) მოქალაქეთა ხვედრითი წილი.

ე.წ. მეტრიკული ჩანაწერების შეჯერება-გაანალიზებამ საშუალება მოგვცა აღვედგინა ქალაქში მცხოვრებთა ბუნებრივი მოძრაობა, კერძოდ კი, ნათელი გახდა 1818 – 1850 წლებში დაბადებულთა, გარდაცვალებულთა და ჯვარდაწერილთა რაოდენობა. მასალებიდან ნათელი ხდება, რომ 1818 – 1850 წლებში დაბა თიანეთში დაბადების 592, გარდაცვალების 623 და ჯვრისწერის 345 შემთხვევა იქნა რეგისტრირებული.

მეტრიკული ჩანაწერებისა და კამერალური აღწერების შეჯერების შემდეგ დადგინდა შობადობისა და მოკვდავობის კოეფიციენტები, რამაც საშუალება მოგვცა, განგვესაზღვრა ბუნებრივი მატების კოეფიციენტი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაბა თიანეთში 1821 და 1843 წლებში, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა, შესაბამისად, -3.4% და -5.7% შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა დეპოპულაციას განიცდიდა. 1831 და 1842 წლებში კი მდგომარეობა უმჯობესდება და მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, შესაბამისად, 11.2% და 4.2% შეადგენდა, ანუ მოსახლეობა განიცდის გაფართოებულ აღწარმოებას.

გარდაცვალებულთა რაოდენობის დადგენის პარალელურად შევისწავლეთ გარდაცვალების ძირითადი მიზეზები, რის შემდეგაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა ინფექციური დაავადებით გარდაცვლილთა წილმა შეადგინა 75.1% , ბუნებრივი სიკვდილით – 7.7% , უბედური შემთხვევით – 2.4% , სხვადასხვა მიზეზით – 14.3% , ხოლო გარდაცვალების მიზეზი უცნობია შემთხვევათა 0.5% -ისათვის.

ჯუანშერისეული (არქაული) „ქართველთა ცხოვრება“ და მისი მოცულობა

მანანა სანაძე

ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრება იწყებოდა ალექსანდრეს ქართლში შემოსვლით და სრულდებოდა იქ სადაც ანდერძი დღესაც გვაქვს. იმის გათვალისწინებით, რომ წამებული, რომლის წამების ფაქტს ლეონტი არაბი ასიმის შემოსევის ისტორიულ ფონზე შლის, იყო არა არჩილ სტეფანოზის ძე, არამედ დარჩილ ვახტანგ გორგასლის ვაჟი. საქმე ისაა, რომ დარჩილის ცხოვრებას მისი ეგრისული პერიოდი მოწყდა. ამიტომ მისი ცხოვრება დაუსრულებელი იყო.

შემდგომ ხანაში ერთ-ერთმა განვრცობმა რაღაცნაირად მისი ცხოვრებისათვის დასრულებული სახის მისაცემად, სრულიად უადგილოდ დაამატა წინადადება: „და მოკვდა დარჩილ“. ამის შემდეგ გამოაგრძელა ტექსტი შემდგომი ხანის ქართლის, უფრო ზუსტად „ვახეთის“ მეფეთა და პატრიკიოსთა ნუსხის მიმატებით. ეს მეფე-პატრიკიოსები პარალელურად მმართველობდნენ, მაგრამ, ბუნებრივია ნუსხის „ქართველთა ცხოვრებაში“ ჩამდებმა ჯერ მეფეების თანმიმდევრობა მოგვცა და შემდეგ უკვე პატრიკიოსების (ერისმავრების). „მოქცევაჲ ქართლისას“ ქრონიკის ავტორმა, ეს თანმიმდევრობა გაიმეორა და თავის მხრივ თითოეულ მათგანთან თავისი ცოდნის შესაბამისად საეკლესიო ხასიათის ინფორმაციები ჩააუმატა, თანაც ისინი უკვე ქრონოლოგიურად ერთიმეორის შემდეგ მოღვაწეებად წარმოაჩინა. ლეონტიმ ეს შეცდომა გაიმეორა, მაგრამ თითოეული მათგანის ცხოვრების პერიოდი მის ხელთ არსებული ქრონიკებიდან შეავსო. ამავე დროს ლეონტის ხელთ აღმოჩნდა „დარჩილის ცხოვრებას“ მოწყვეტილი მონაკვეთიც. სავარაუდოდ, იმ ხელნაწერში დარჩილი გადაძწერთა მიერ უკვე არჩილად იყო ქცეული. ამიტომაც თავმოწყვეტილ ხელნაწერში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ეგრისში ქრისტეს მოძულეთა წინააღმდეგ მებრძოლი ვახტანგ გორგასლის ვაჟები მეფე [დ]არჩილი და მისი ძმა პატრიკიოსი მირი ლეონტიმ არაბების წინააღმდეგ მებრძოლ სტეფანოზ III-ის ვაჟებად მირად და არჩილად გაიაზრა და ამიტომაც სტეფანოზის ვაჟებისადმი მიძღვნილ მონაკვეთში შეიტანა. ამგვარად, სპარსელების მიერ წამებული დარჩილი, არაბების მიერ წამებულ არჩილად იქცა. თუ ჩვენ ამოვიღებთ „ქართველთა ცხოვრების“ ტექსტიდან მონაკვეთს

რომელიც გვეძლევა ფრაზიდან: „და მოკვდა დარჩილ“ მოყოლებული სტეფანოზ ადარნასეს ძის მმართველობის აღმწერი მონაკვეთითურთ, ვნახავთ, რომ [დ]არჩილისა და მირის დასავლეთ საქართველოში ბრძოლის აღმწერი მონაკვეთი პირდაპირ გადაეხედა დარჩილის ცხოვრებას და ლეონტის მიერ გავრცობილ-პერეფრაზირებული ჯუანშერისეული ანდერძიც [დ]არჩილის გარდაცვალების შემდეგ იპოვის ადგილს.

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1921)

ლელა სარალიძე

მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესასწავლად, საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში დაცული, პარიზიდან და ჰარვარდიდან ჩამოტანილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივი. ასეთია, მაგალითად, კონსტანტინოპოლში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის - კონსტანტინე გვარჯალაძის წერილები, რომელიც პარიზში, ევროპის ქვეყნებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის - აკაკი ჩხენკელის მისამართით არის გაგზავნილი; ასევე, ოსმალეთში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის დიპლომატიური ანგარიშები. (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 2114, საქმე 71, (ხელნაწერი), 7 მაისი, 1921 წელი). არქივში დაცული დოკუმენტები ღირებულ მასალას შეიცავს: 1. 1921 წლის თებერვალ-მარტში, რუსული აგრესიის პერიოდში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შესახებ, 2. აღადგენს რეალურ ისტორიას და პასუხს სცემს კითხვას: დაუთმო თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმის ოლქი თურქებს? 3. რა პირობებში დატოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველო. 4. რა იყო საზღვარგარეთ საქართველოს მთავრობის გამგზავრების რეალური მიზანი. 5. როგორ შეფასებას აძლევს, უკვე ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ოსმალეთის მზაკვრულ პოლიტიკას. 6. რა სამუშაო ჩაატარა კონსტანტინოპოლში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა - კონსტანტინე გვარჯალაძემ, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლების მიერ გავრცელებული მცდარი ინფორმაციის საპირისპიროდ, რომელიც ამტკიცებდა, რომ რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნა, ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებში იყო.

1921 – 1925 წლებში, საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლად კონსტანტინოპოლში კონსტანტინე გვარჯალაძე დაინიშნა. ამ ხნის მანძილზე, მან მოლაპარაკება აწარმოა, ოსმალეთში მყოფი, 22 ქვეყნის ოფიციალურ პირთან. მას უფრო დიდი ნდობით უყურებდნენ თურქები, ვიდრე ბოლშევიკების ელჩს – კ. მოდებამეს. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა კონსტანტინოპოლის მისიას ენიჭებოდა, საიდანაც პარიზის ლეგაციას ინფორმაცია ოკუპირებულ საქართველოში არსებულ რეალურ სიტუაციაზე უშუალოდ მიეწოდებოდა.

1921 წლის 17 მარტს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ ბათუმში იმყოფებოდა, ოსმალეთის ჯარების უფროსმა ქიაზიმ ბეიმ, ბათუმის ოლქი ოსმალეთთან შეერთებულად გამოაცხადა და ქალაქ ბათუმში ასეთი პროკლამაცია გამოაკრა: „უკანასკნელ დროს, საქართველოს მთავრობის

თანხმობით, ბათუმის მხარე და ახალქალაქისა და ახალციხის ოლქები ჩვენი ჯარების მიერ იქნენ დაკავებული. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის დადგენილებით, რომელიც ემყარება სხვადასხვა დროის ხელშეკრულებებით მრავალჯერ დადასტურებულ ეროვნულ უფლებებს, ეს მხარეები დღეიდან ბრუნდებიან სამშობლოს საზღვრებში და პოლიტიკურადაც და ადმინისტრაციულადაც ექვემდებარებიან ოსმალურ ეროვნულ მთავრობას“. ოსმალეთის მთავრობას პრეტენზიები ჰქონდა არა მარტო არდაგანისა და ართვინის ოლქზე, არამედ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებზეც, ასევე, მთელ ბათუმის ოლქზე, ქალაქ ბათუმის ჩათვლით. ქიაზიმ ბეის ამ განცხადებით, ქემალისტური ოსმალეთი ოსმალეთის ხონთქრის პოლიტიკას აგრძელებდა, რომლის მიხედვით, მთელი მესხეთი ოსმალეთს უნდა დაეკავებინა. სინამდვილეში, საქართველოს ეროვნულ მთავრობას არცერთი ეს მხარე ოსმალეთისთვის არ გადაუცია. მართალია, 1918 წელს ოსმალეთმა იგი მცირე ხნით შეინარჩუნა, თუმცა პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის ხელისუფლების დამარცხების შემდეგ, საქართველომ აღნიშნული ტერიტორიები დაიბრუნა, რადგან მხოლოდ ქართველ ხალხს ჰქონდა მასზე ეროვნული უფლებები. ქართულმა (და არა ბოლშევიკურმა – ლ. ს.) ჯარმა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, ოსმალეთის ჯარს ბათუმში ბრძოლა გაუმართა და სასტიკად დაამარცხა. არც ოსმალების მიერ არდაგან-ართვინის დაპყრობა უცვნიად კანონიერად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას.

რაც შეეხება რუსეთს, რუსეთის წითელმა არმიამ საქართველო ძალით დაიპყრო, ხოლო 1921 წლის 16 მარტს, რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების დადების მომენტში, რომლითაც გაიყვეს ქართული მიწები, ბათუმში ჯერ კიდევ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმყოფებოდა. როდესაც, მოსკოვში რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება დაიდო, იმავე დღეს, ბოლშევიკების წარმომადგენელმა კრასინმა, ლონდონში ინგლის-რუსეთის სავაჭრო შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომლის რატიფიკაცია მოსკოვში 20 მარტს მოხდა, ხოლო, ანკარაში 22 ივლისს, მაშინ როცა ბერძნები ამ ქალაქიდან 50 კილომეტრში იმყოფებოდნენ. 1921 წლის 13 ოქტომბერს, ბოლშევიკებმა ე.წ. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ყარსში ოსმალეთთან ხელშეკრულება დაადებინეს, რითაც დაამტკიცეს მოსკოვის ხელშეკრულების მუხლები. ოსმალების საკუთრებაში გადავიდა ყარსის, არტანის და ართვინის ოლქები მთლიანად და ბათუმის ოლქის ნაწილიც. თურქებმა საქართველო ისევე იოლად გაწირეს, როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი, ხოლო ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ, მისთვის არტანისა და ართვინის ოლქების დათმობის ხარჯზე, ოსმალეთის მხრიდან ნეიტრალიტეტი მოიპოვა. თურქ ნაციონალისტებსა და ბოლშევიკებს შორის პირველ კონტაქტებს ადგილი, ჯერ კიდევ, 1919 წლის მაისში ჰქონდა. ოფიციალური პირი, ვინც საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან პირველმა დაამყარა ურთიერთობები თურქულ ჯგუფთან და ხელი მოაწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას, ეროვნებით ქართველი რუსი ბოლშევიკი - შალვა ელიავა იყო. 1921 წლის 27 აპრილს, კ. გვარჯალაძე შეხვდა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს იზეთ ფაშას და უსაყვედურა ქიაზიმ ბეის თავხედურ საქციელზე, რომელმაც რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ისარგებლა ქვეყნის ურთულესი მდგომარეობით და თავი ბათუმის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა. იზეთ ფაშამ ქართველ დიპლომატს უპასუხა: „ქიაზიმ ბეი საქართველოდან გამოიწვიეს, შეიძლება ის კარგი მეომარია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის კარგი დიპლომატი არ არის“. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ემიგრაციაში მოღვაწე, ქართველი პოლიტიკოსები, აქტიურად აგრძელებდნენ ბრძოლას და იმედის თვალთ უყურებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

კულხითი /კოლხეთი ჰამურაბის თანამედროვე ზიმრილიმ მეფის მიმოწერაში

ნათელა ფოფხაძე

ქართველი მკვლევარებისათვის სიტყვა *კოლხეთის* ხსენების ფაქტი ძვ.წ.-ით 1740-იანი წლების წყაროთმცოდნეობით მასალაში უცნობია. განვიხილავ ძვ.წ.-ით 1740-იანი წლებში ქვეყანა *კულხითის* ხსენების მაგალითებს. სათანადო ტექსტები 1940-იანი წლებიდან გამოქვეყნებულია ფრანგულ და/ან ინგლისურ ენებზე, მაგრამ ამ თემისადმი ყურადღება არც უცხოელ ავტორებს მიუპყრიათ. ლურსმული/სოლისებური დამწერლობით მოღწეული მასალის კვლევის აღორძინება ჩვენი მეფის ლუარსაბისა და მისი ცოლის ძმის - სარდალ გიორგი სააკაძის თანამედროვე იტალიელი დიდკაცის - პიეტრო დელლა ვალლესა და მისი მეუღლის, სახელად მარიუჩას დაინტერესებით დაიწყო. მათ წაიღეს რამდენიმე ნიმუში იტალიაში და სთხოვეს მკვლევრებს შეეტყვოთ, თუ რა ეწერა თიხის ფირფიტებზე ამოტვიფრულ გზავნილებში.

დღესაც გრძელდება ეს ძალისხმევა. ვისაუბრებ 1930-იანი წლებში პარიზელი ანდრე პარროს მიერ მდინარე პურანუნუს/ევფრატის შუა წელზე არქეოლოგიური გათხრებისას მიკვლეული ძვ. წ.-ით 1730-იანი წლების სამეფო არქივის მონაცემებზე, რომლის აქადურ ენაზე ნაწერი ერთ-ერთი საბუთი მიმოიხილა ლურსმული დამწერლობის კვლევის საერთაშორისო საზოგადოების ხელმძღვანელმა - პროფ. უოლფრამ ჰერბერტ ვან სოლდტმა 1992 წელს თავის სტატიაში. მასში ყურადღება მივაპყარი *კულხითი ქი/ კულხითი* ქვეყნის ხსენებას. ვ.ჰ. ვან სოლდტის ჩემდამი გზავნილი განმარტებით შევიტყვე, რომ *კულხითი* იმ არქივის რამდენიმე სხვა ტექსტშიც იხსენიება. ცნობილია, რომ აქადურში *უ* იკითხებოდა *ო* სახით, რის გამოც ჰამურაბის თანამედროვე მეფე ზიმრილიმთან მისი მზვერავის მიმოწერაში ნახსენები სიტყვა *კულხითის* გააზრება ჩემ მიერ *კოლხითი* სიტყვად და ჩვენი სახელმწიფოს სახელთან *კოლხეთი* მისი დაკავშირება დასაშვებად მიმაჩნია.

მოხსენებაში მიმოვიხილავ ჩემი მოხსენების სათაურად გამოტანილი თემის შესატყვის საინტერნეტო უცხოურ მასალას. ვისაუბრებ ჩვენი რესპუბლიკის ოფიციალური – გაეროს საბუთებში აღბეჭდილი სახელწოდების – *გეორგია*-ის მიმართ ჩვენი საზოგადო მოღვაწეების ნაწილის დამოკიდებულებაზე და სურვილზე, რომ ერთი სიტყვით იხსენიებოდეს ჩვენი სახელმწიფოს სახელი ყველა ენაზე. ჩემთვის სანატრელია ქვეყნის სახელად აიაკოლხეთის აღორძინება, მეფე აიეტისა და მედეიას მიმართ მოწიწების ამსახველი ნიშნების ჩართვა ჩვენი სახელმწიფოს სიმბოლოებში.

თეიმურაზ I-ის პოემა „ქეთევან დედოფლის წამება“ როგორც საისტორიო წყარო ქართული-სპარსული ურთიერთობების ერთი ეპიზოდისათვის

თეა ქართველიშვილი

თეიმურაზ I-ის „ქეთევან დედოფლის წამება“ არის ისტორიული პოემის ჟანრის პირველი ნიმუში. დედოფლის ცხოვრებისა და წამების გარდა, თხზულება სხვა მნიშვნელოვან საისტორიო ცნობებსაც შეიცავს. თეიმურაზი, ცხადია, გამოხატავს პირად გრძნობებს დედის წამების მიმართ, ამასთან, საინტერესოა პოემის ავტორის, როგორც ქვეყნის უმაღლესი იერარქის, დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი. პოემაში

ირანის სახელმწიფოს მხოლოდ ორი მოღვაწე იხსენიება: სეფიანთა ირანის მეთაური-შაჰ აბას I და შირაზის მმართველი იმამყული-ხან უნდილაძე.

მეფე თეიმურაზი, როგორც ირანის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, უარყოფითად აფასებს შაჰის პიროვნებასა და პოლიტიკას, ხოლო იმამყული-ხანის მიმართ რადიკალურად განსხვავებული, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვს. მას საგანგებო სახობო სტროფსაც უძღვნის და განსაზღვრულ ტიტულსაც კი ქმნის – “ხალარ-ხანს”. თეიმურაზი იმამყული-ხანს „ღვთისგან გამორჩეულად და ზეციურ ძალთაგან დაცულად“ აცხადებს. შუა საუკუნეების საქართველოში, როდესაც ისლამი და მისი მიმდევრები ცალსახად იდენტიფიცირდებოდა ჰეტეროხატთან, ხოლო მართლმადიდებლობის დაცვა იქცა ეროვნული იერსახის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად, მით უფრო მოწამეობრივად აღსრულებულ ქეთევანთან მიმართებაში, გასაოცარია თეიმურაზის მხრიდან იმამყული-ხანთან დაკავშირებით რელიგიური ასპექტის აქცენტირება.

თეიმურაზის კეთილგანწყობას იმამყული-ხანისადმი განაპირობებდა მათი პოლიტიკური მოკავშირეობა. ისინი ანტიირანული პროექტის განხორციელებას გეგმავდნენ ევროპელ მონარქებთან ერთად. შეთქმულებას აწყობდნენ შაჰ სეფის წინააღმდეგ და სურდათ ტახტზე აეყვანათ შაჰ აბასის შვილი და იმამყული-ხანის შვილობილი – სეფიყული-ხანი. თეიმურაზი შეთქმულთა მხარეს იყო, ვინაიდან მისი პოზიციების გარანტი შაჰის სამეფო კარზე უნდილაძეები იყვნენ. შეთქმულება დამარცხდა. თეიმურაზმა ჯერ ქართლის ტახტი დაკარგა, შემდეგ კი – კახეთის.

სავარაუდოა, რომ თავის დროზე, შაჰ აბასის მიერ შირაზის მმართველსადმი თეიმურაზის დედისა და შვილების ჩაბარება შორს გამიზნული ნაბიჯი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა თეიმურაზსა და იმამყული-ხანს შორის ურთიერთობების გაფუჭებას. ქართული წყაროების პოზიტიური განწყობა იმამყული-ხანისადმი თეიმურაზის დამკვიდრებულია. მისი პოემა ქართველი ავტორებისთვის პირველწყაროს წარმოადგენდა.

რუსული ეგზეკუცია ქართულ სოფლებში და მისი შედეგები ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით

მადონა ქებაძე და მაია ბურდიაშვილი

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს ანექსია და დაიწყო ქვეყნის სრული გაკონტროლოება. საქართველოში სამეფო ხელისუფლების გაუქმების და ბაგრატიონთა სამეფო კარის რუსეთის იმპერიის სილრმეებში განდევნის შემდგომ, ჩვენმა „ერთმორწმუნე“ რუსეთის იმპერიამ, კათალიკოსი ანტონ II რუსეთში ძალით გადაასახლა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. ქართველები, როგორც საერო ისე სასულიერო, ხელისუფლების გარეშე აღმოჩნდნენ და რიგითი ქართველისათვის სამართალი მხოლოდ ფარატინა ფურცელზე ნაწერად დარჩა.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ქართული ფეოდალური არისტოკრატია, ასევე გლეხობა, რომელსაც ახალი გადასახადი დაეკისრა რუსეთის ხაზინის სასარგებლოდ. სამოხელეო აპარატი თითქმის მთლიანად რუსებით კომპლექტდებოდა, ხოლო სამართალწარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

რუსი მოხელეები სასტიკი მეთოდებით ცდილობდნენ მოსახლეობის დამორჩილებას. მათ თითქმის ყველა სოფელში ჩააყენეს სადამსჯელო ნაწილები და

დაიწყო ქართული სოფლებში რუსული ეგზეკუცია. რუსი სალდათების მიერ დაჩაგრული გლეხობა სამართალს ვერსად პოულობდა. ისინი გლეხობას ართმევდნენ პირად ქონებას, იჭრებოდნენ მათ საცხოვრებლებში, აყენებდნენ ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას. უსამართლობას თან სდევდა ქართველებისათვის ყველაზე მიუღებელი – აბსოლუტური უზნეობა, ქალისა და ოჯახის შეურაცხყოფა, რუსი მოხელეები არაადამიანურად ექცეოდნენ უდანაშაულო მოსახლეობას, მათრახებით სიკვდილის პირამდე სცემდნენ, უღელში აბამდნენ ქალებს, ქმრების თვალწინ ნამუსს ხდიდნენ მათ ცოლებს, არ ინდობდნენ არც ბავშვებსა და მოხუცებს. სამუშაოზე ძალით მირეკილ მოსახლეობას შიმშილზე დაჩივლებისას მიწაზე მიუთითებდნენ ეგ ჭამეთო და სხვ. უამრავია ამგვარი ფაქტი. მირზაანელები: „შეკრეს ქამრებით, ცოლები კი თვალწინ გაუუპატიურეს“. გურჯაანელები: „ჩაგვიყენეს ეგზეკუცია, დრაგუნის ნარვის პოლკის სალდათები, რომელნიც გვცემდნენ უწყალოდ. მოაბეს ამათ გლახა ჯიყაშვილს წვერზედ თოკი და სოფელი მოატარეს... გვართმევდინ უფასოდ პურსა, ღვინოსა, ქათამსა, ქერსა, ცხვარსა და სხვა სასმელ-საჭმელსა“. ბოდბელები: „ყიზილბაშ-ოსმალს და ლეკსაც ვჭერივართ და მისთანა რისხვა არ მოსდგომია საქართველოს, რომ ახლა დაემატა. ყოველ მწუხარებას ვითმენდით, მაგრამ ცოლის მკლავიდან აყენება ვერ მოვითმინეთო“.

ასეთი ვითარება ქართველ კაცს ხელში იარაღს აღებინებდა, ნამუსისა და სინდისის დასაცვად ბევრჯერ დაუღვრია მომხვედურთა სისხლიც. მთელი XIX საუკუნის პირველი ნახევარი გამოირჩევა ქართველთა ეროვნული მოძრაობით და სახალხო აჯანყებებით. თუმცა ყველა აჯანყება მარცხით დასრულდა, მაგრამ ქართველმა გლეხმა თვითმოპყრობელ რუსეთს დაანახა საკუთარი პოზიცია.

1918 წელს საქართველომ ისარგებლა საგარეო პოლიტიკური პერიპეტეიებით და აღადგინა ეროვნული დამოუკიდებლობა. სამწლიანი დამოუკიდებლობის მოსპობა კვლავ რუსეთის მიერ მოხდა, რომელმაც მხოლოდ პოლიტიკური ფორმა იცვალა და 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა დემოკრატიული საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. დამპყრობელმა ქართულ სოფლებში სამხედრო ნაწილები ჩააყენა და დაიწყო ქართული სოფლების საბჭოთა ჯარის მიერ ეგზეკუცია. საუკუნის წინანდელი ვითარება კვლავ განმეორდა, ქართველი გლეხი ისევ ისე განიცდიდა მორალურ და ფიზიკურ ჩაგვრას, როგორც XIX საუკუნის დასაწყისში.

ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტების მიხედვით შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ შეხედულება იმ ვითარების შესახებ, რაც მოჰყვა ჯერ 1801 წლის ანექსია რუსეთის იმპერიის მიერ და 1921 წლის ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ. დოკუმენტებში ასახულია ჩაგრული გლეხის უკიდურესი მდგომარეობა, გაუსაძლისი ყოფა, ეკონომიკური ვითარება, რაც სწორედ საბჭოთა ეგზეკუციის შედეგი იყო.

ქართული წარმართული პანთეონის კვლევისათვის

მაია ქუთათელაძე

ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ მწირი და ფრაგმენტულია. იმის მიუხედავად, რომ ქართული წარმართული პანთეონის პრობლემატიკას ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ვრცელი გამოკვლევები მიეძღვნა, კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ამ საკითხს.

ქართული წერილობითი წყაროები პირდაპირ ინფორმაციას არ გვაწვდის საქართველოს ტერიტორიაზე მაზდეანობის გავრცელებისა და, მათ შორის, ღვთაება მითრას თაყვანისცემის შესახებ, თუმცა მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა ნათლად მეტყველებს ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ქართული და უცხოური წყაროების ანალიზი, მათი ურთიერთშეჯერება ქართული წარმართული პანთეონის შესახებ ზოგიერთი საკითხისა და პრობლემის ახლებურად გააზრება-დამუშავების საშუალებას იძლევა.

უცნობი ავტორის „მოქცევაი ქართლისაიში“, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“, მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“, ინდოელთა „რიგ-ვედასა“ და პართიელების „ავესტაში“ დაცული ინფორმაციების შესწავლა, მათი სისტემატიზაცია და ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში მაზდეანობის ორი უმთავრესი ღვთაების – აჰურამაზდასა და მითრას ერთგვარ შერწყმას ჰქონდა ადგილი. აღნიშნულმა სინკრეტულმა ღვთაებამ კი მითრას გამოსახულება შეიძინა, რადგანაც აჰურამაზდას ანტროპომორფული სახით გამოსახვა გამორიცხული იყო. აჰურამაზდა-მითრას თაყვანისცემა ქართლში განსაკუთრებით ქართლის მეფის ფარნავაზის მიერ გატარებული რელიგიური რეფორმის შემდეგ განმტკიცდა. ფარნავაზმა აღმართა არმაზის, იგივე აჰურამაზდა-მითრას კერპი და იგი ქართლის სამეფოს მთავარ ღვთაებად აღიარა. ამაზე მეტყველებს უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში შემორჩენილი ქართული წარმართული პანთეონის ძირითადი ღვთაებისა და ინდოირანულ ლიტერატურაში დაცული მითრას აღწერილობების სრული იდენტურობა.

განმოსაცავები „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით

ქეთევან ქუთათელაძე

„ქართლის ცხოვრება“ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სამეფო განმოსაცავების შესახებ. ჟამთა სიავის შედეგად და ურიცხვი მტრის შემოსევის დროს ჩვენი წინაპრები საგანგებოდ ინახავდნენ სახელმწიფო განძს. სამეფო ქალაქებში იმყოფებოდა ქვეყნის საჭურჭლე. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სამეფო განძი ივსებოდა მეფეთა „მონაგებით“.

განმოსაცავების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ჯუანშერი, როდესაც იგი სამეფო განძის გაყოფის შესახებ საუბრობს. სტეფანოზ ერისმთავარმა თავის ორ ძეს არჩილსა და მირს „განუყო ყოველი ხუასტაგი სამეფოსა მისისა, საგანძური ოქროსა და ვეცხლისა და თუალთა პატიოსანთა“. ნახევარი ეგრისში წაიღო და მირს ჩააბარა, „ნახევარი საქონელისა“ მისცა უმცროს ძეს არჩილს, რომელმაც „საგანძური უფროსი“ დაფლა კახეთში „სამსახურებელნი ოქროსა და ვეცხლისანი“ – უჯარმაში, „საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი“ – ტონთიოდ („მთა ოქროსა“) წოდებულ გორაზე, რომელიც ჰერაკლე კეისარმა „განაჩინა სამალავად განძთა მათთჳს, რომელი თანა ვერ წარჰქონდეს“. მასზე ნიშანი დადო, რომ სხვას არ შეძლებოდა განძის გამოღება. „საგანძურნი ყოველთა ქართლისა ეკლესიათანი დაფლნა აჩრდილსა დიდისა სიონისასა მცხეთას“. „საგანძური უფროსი“ „მთავარ საგანძურს“ ნიშნავს, მეფეს შეეძლო „სამსახურებელნი ოქროსა და ვერცხლისანის“ დახარჯვა. ცალ-ცალკე აღირიცხებოდა „საგანძურნი ყოველთა ქართლისა ეკლესიათანი“ და „საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი“. ნამარხვეს სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, როგორც

„მიზარებული“. ი. ჯავახიშვილის აზრით, „მიცემად დამარხვად“ შესანახად მიზარებას ნიშნავდა“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰერაკლე კეისარმა განძი, რომელიც ჯავახეთში დაფლა, მიაზარა და მისი დაცვა დაავალა ქართლის ერისმთავარს. ბიზანტიის იმპერატორის სამსახურში ყოფნა და მისგან გვირგვინის მიღება ასევე გულისხმობდა ამ განძის დაცვას და უვნებლად მის შენახვას. ბუნებრივია, განძის ასეთი მიზარება განძის დამცველს აძლევდა გარკვეულ უფლებას და ალბათ საფასურსაც. ჯუანშერის ცნობით, ჰერაკლე კეისრის მიერ დაფლული განძი, „რომლისა აღწერილი ყოველი“ ქართლის ერისმთავარმა ვახტანგ გორგასლის მიერ მოპოვებულ ორ განსაკუთრებით ძვირფას გვირგვინთან ერთად დაფლა უჯარმაში, საიდუმლო ადგილას, ორ კომკს შორის, ამ პროცესს თავად არჩილიც ესწრებოდა. უჯარმა რომ, მართლაც, მნიშვნელოვანი სამეფო განძთსაცავი იყო, ამას ადასტურებს თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა, გიორგი III-ის მიერ მოპოვებული განძის უჯარმაში დადების თაობაზე. განძის მიზარების შესახებ საუბრობს ჟამთააღმწერელიც. როდესაც დემეტრე II ურდოში დაიბარეს, განძის ერთი ნაწილი მან მიაზარა ბექა ჯაყელს. ამ უკანასკნელმა უკლებლივ დაუბრუნა იგი დემეტრეს უფროს ვაჟს დავითს, როდესაც გამეფდა. ამ განძში იყო მონღოლთა მიერ დემეტრესთვის მიცემული თვალ-მარგალიტით მოჭედული ოქროს ძვირადღირებული სარტყელიც.

ძვირფასი ნივთებიდან ჯუანშერი ასახელებს ვახტანგ გორგასლის მიერ ინდოეთიდან ჩამოტანილ ორ გვირგვინს, ზურმუხტითა და იაგუნდით შემკობილს, ასევე კიდევ ორ გვირგვინს „ოქროსა და ანთრაკისანი“ – ერთი მირიან მეფისკუთვნილი, მეორე კი ირანის შაჰის მიერ ვახტანგ გორგასლისთვის გამოგზავნილი. ეს ორი გვირგვინი სტეფანოზ ერისმთავრის მიერ ქუთაისსა და ციხე-გოჯში დაფლულ განძში არის მითითებული. არჩილი კი ასახელებს თავის გვირგვინს და „გუჯარნი ტყვეისანი“. გვირგვინი არ არის აღწერილი, თუ რომელი ძვირფასი თვლებით იყო შემკული, „გუჯარნი ტყვეისანი“ კი, სავარაუდოდ, აღწერილი უნდა ყოფილიყო იმ განძის შესახებ, რომელიც ვერ წაიღეს და საქართველოში დაფლეს.

სამეფო განძთსაცავების საიდუმლოს შენახვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა და ქვეყნის წინამძღოლიც ვალდებული იყო, რომ დაეცვა ეს საიდუმლო, არ გაეტანა სამეფო ოჯახის გარეთ. სიკვდილის წინ მირმა სწორედ თავის ძმას აღუთქვა, რომ „და შენ გაუწყო ადგილი საგანძურთა ჩუენთა ნამალევთა სადა არს“, რადგან „აწ შენ ხარ მკვდრი სახლისაგან მეფობისა ჩუენისა, მირიან მეფისა“. ასევე არჩილმა არ გასცა საიდუმლო, როდესაც იგი გამოცხადდა ქართლის დასარბევად მოსულ არაბ ამირასთან („ჭიჭნაუმ მოჰამედის ძე“/ასიმი), რომელიც მას მუსულმანობის მიღების გარდა, ბიზანტიის იმპერატორის საგანძურის ჩვენებას აიძულებდა, როგორც დამპყრობელი კი მამა-პაპეულ განძის ხელშეუხებლობას ჰპირდებოდა. არჩილმა „ყოველნი საგანძურნი“ დასავლეთ საქართველოში მიუთითა, სადაც ბიზანტიელთა გავლენა იყო. ამით მან დამალა განძთან დაკავშირებით მის მიერ განხორციელებული ქმედებები აღმოსავლეთ საქართველოში. ამ პოლიტიკით მეფე სამეფო საუნჯის გადარჩენასაც ცდილობს. ჯუანშერის ზემოაღნიშნული ცნობებიდან განძის სამალავ ცენტრებად დასახელებულია: ქუთაისი, ციხე-გოჯი, უჯარმა, მცხეთა, როგორც სამეფო ქალაქები და მეფეთა რეზიდენციები, კონკრეტულ ადგილად კი „ტონთიოდ“ წოდებული გორა ჯავახეთში.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს ხვამლის ცნობილი განძთსაცავის შესახებ. როდესაც დავით VI და დავით VII სამეფოს ორად გაყოფა დაიწყეს, გაყოფა შეეხო საჭურჭლესაც: „გარნა ხუამლისა ქუაბსა, რომელი იდვა, მცირე გამოიღეს და გაიყვეს, და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს. ხოლო ჯაჭვი იგი სახელდებული, სალმასური, და თუალი

იგი პატივცემული გურდემლი („თვალი, რომელიც გათლილი იყო გრდემლზე“), და მარგალიტი იგი დიდი, რომლისა არა-ვის-სადა უხილავს, ესე სამივე რუსუდანის ძესა დავითს მიხუდა“. დავით ნარინის ხელში მოხვედრილი ძვირფასი ქვებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე, „თვალი იგი სახელოვანი,“ სავარაუდოდ, წითელი ფერის ქვა. ჟამთააღმწერელი განძის შენახვის ადგილად ასახელებს ატენის ციხეს, თბილისს, ვარძიის მონასტერს.

ქართველი მეფეები განსაცდელის ჟამს ხშირად იყენებდნენ საჭურჭლეს საჭიროებისამებრ, ზოგჯერ აჯანყების ჩასაქრობად, ზოგჯერ კი დამპყრობლის მოსასყიდად. იყო შემთხვევები, როდესაც როგორც შინაური, ასევე გარეშე მტერი ხელყოფდა სამეფო საჭურჭლეს. საქართველოს მაღალმთიანი ადგილები – გერგეტი, სვანეთი (სვეტი/სეტი) – მოიხსენიება მცხეთის ან სვეტიცხოვლის „სამკაულ-საუნჯის სახიზრად“. თუმცა, აქ ომიანობის დროს სხვა საგანძურების გახიზვნაც ხდებოდა.

სადღეგრძელოს რიტუალის პიროვნებათაშორისი ასპექტები კავკასიურ სუფრაზე მოგზაურთა ჩანაწერების მიხედვით

გიორგი ყიფიანი

ქართული სუფრის ტრადიციის ის მკვლევარები (ბრეგაძე ლ, შათირიშვილი ზ, Nodia G., Muelfried F., Tuite K, Ram H.), რომლებსაც სადღეგრძელოს ტრადიცია საქართველოსა და კავკასიაში მეცხრამეტე საუკუნეში რუსული ლიტერატურიდან გადმოღებულად მიაჩნიათ, საკუთარი კონცეფციის დამადასტურებლად სადღეგრძელოთა შესახებ მეცხრამეტე საუკუნემდე ცნობათა არარსებობას ასახელებენ. ისინი თვლიან, რომ მეცხრამეტე საუკუნემდე ქართულ სუფრაზე მხოლოდ სამი სადღეგრძელოს შესმა იყო მიღებული და სუფრა საფავიდური ირანის მსგავსად მხოლოდ მატერიალურ მოხმარებასა და დათრობაზე ორიენტირებულ უწყსრიგო ღრეობას და არა სულიერ ღირებულებებზე მიმართულ ურთიერთობას წარმოადგენდა (Manning P. 2014). ამ მოსაზრების საპირისპიროდ ნაშრომში ტრადიციული სუფრის ელემენტების გაანალიზების თვალსაზრისით განხილულია ჯორჯიო ინტერიანოს (1502), ჯუდიჩე მილანელის (1631 – 1643), თევდორე ვოლკონსკისა და არტემ ხვატოვის (1637-1640), ქრისტეფორო კასტელის (1640 – 1657) და ჟაკ ფრანსუა გამბას (1821-1831) ჩანაწერები, რომლებიც აღწერს კავკასიასა და საქართველოში სუფრის ხანგრძლივ მიმდინარეობას, თემატურ და პერსონალურ სადღეგრძელოთა სიმრავლეს, ამასთან სადღეგრძელოთა სიმრავლის მიუხედავად სუფრის წევრთა მხრიდან თრობის არარსებობას. თემატურ სადღეგრძელოთა სისტემა კავკასიაში უკვე მეთხუთმეტე საუკუნიდან სუფრაზე დასტურდება. მეჩვიდმეტე საუკუნის არაერთი ჩანაწერი მიუთითებს, რომ როგორც თემატურ, ასევე პერსონალურ სადღეგრძელოთა შესმას ჰქონდა მკვეთრად გამოხატული რიტუალური, ღრმა პატივისცემის გამომხატავი ხასიათი, რაც განსაკუთრებით პერსონალური სადღეგრძელოების დროს იყო ხაზგასმული.

მოგზაურთა ჩანაწერებში გადმოცემული სუფრის აღწერები შეიცავს პერსონალურ სადღეგრძელოთა შესმის დეტალურ დახასიათებას, რომლის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ საქართველოში პიროვნებათაშორისი ურთიერთობების განსაკუთრებული სპეციფიკა სამეფო კარის იერარქიის სხვადასხვა დონის წარმომადგენლებთან,

სასულიერო წოდებასა და მრევლს შორის, ასევე გენდერულ ურთიერთდამოკიდებულებებში რუსეთისა და ირანის ყოფით რეალიებთან შედარებით.

სახელმწიფო ტერიტორიის აღქმა „ქართლის ცხოვრების“ უძველეს თხზულებებში

გიორგი ჭეიშვილი

ეროვნული ცნობიერება და ეროვნული ტერიტორია ურთიერთგადაჯაჭვული ცნებებია. ეს ურთიერთდამოკიდებულება ძველისძველი ფენომენია, რაც კარგად ჩანს ქართულ საისტორიო წყაროებზე დაკვირვებითაც. ყურადღებას გავამახვილებთ „მეფეთა ცხოვრებასა“ და „ვახტანგ გორგასლის ისტორიაში“ დაცულ ცნობებზე. ამ თხზულებათა ნარატივი სხვადასხვა დროის სხვადასხვა წყაროზეა დამყარებული; ამდენად, ლეონტი მროველმა და ჯუანშერმა არა მხოლოდ თანადროული – XI ს-ის, როგორც ტრადიციულად მიიჩნევენ – კონცეფციები გადმოგვცეს, არამედ უფრო ძველი შეხედულებებიც შემოგვინახეს.

შუა საუკუნეების ისტორიკოსთა თვალსაზრისით, ყოველი ტერიტორია გარკვეული ეთნოსის მიერ ათვისებული სივრცეა, რომელზეც მისი, ე.ი. ეთნიკური ერთობის იურისდიქციაც ვრცელდება. ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სივრცეს აუცილებლად გააჩნია საზღვარი, რომლის ფორმირება და საკრალიზაცია, ძველ მემატიაზე კონცეფციით, ბიბლიური დროიდან ხდებოდა.

უძველესი საზღვრები, „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად, მამამთავართა (თარგამოსის) მიერაა დადებული. ბიბლიური სქემის გამოყენებით და თარგამოსზე მითითებით ლეონტი, ერთი მხრივ, ასაბუთებდა ქართველთა ადგილს მსოფლიოს „პოლიტიკურ რუკაზე“ და, მეორე მხრივ, უპირისპირდებოდა სომხურ ექსპანსიონისტურ იდეოლოგიას, რომელიც, ასევე, თარგამოსიანობით აპელირებდა.

„მეფეთა ცხოვრებასა“ და „ვახტანგ გორგასლის ისტორიის“, თუ მათი წყაროების, ავტორებს კარგად ესმოდათ, რომ მხოლოდ ბიბლიურ სქემებით ოპერირება არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს სახელმწიფო საზღვრების ლეგიტიმურობის დასასაბუთებლად, მით უფრო, რომ მამამთავრობის ხანის ქართლის – ცენტრალური ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეპტის – საზღვრები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პოლიტიკური/მეფობის ხანის ქართლის საზღვრებისგან. ახალი პოლიტიკური სივრცის კანონიერებას, მემატიაზე თვალსაზრისით, ორი საფუძველი ჰქონდა: 1) ნებაყოფლობითი სოციალური კონტრაქტი ქართლოსიანთა (ფარნავაზი) და ეგროსიანთა (ქუჯი) სახლებს შორის და 2) არსებული საზღვრების აღიარება/დადება მსოფლიო იმპერიების მიერ. პირველი ასეთი „საერთაშორისო აღიარება“ ქართლის პოლიტიკურმა საზღვრებმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ჰპოვა. მომდევნო პერიოდის ამბების თხრობისას ბიზანტიის კეისრებისა თუ სასანიანი შაჰების ავტორიტეტის მოხმობითაც ქართველი ისტორიკოსები თანადროულ საზოგადოებას (ქართულსაც და არაქართულსაც) უმტკიცებდნენ, რომ მათი სახელმწიფოს – ქართლის – საზღვრები „საერთაშორისოდ“ იყო ცნობილი და, ამდენად, კანონიერი.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტერიტორია წარმოადგენდა *terra sacra*-ს, რომლის საზღვრების დაცვა და გაფართოვება მეფეთა უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა.

„მეფეთა ცხოვრებასა“ და „ვახტანგ გორგასლის ისტორიის“ კონცეფციით ისიც კარგად ჩანს, რომ სახელმწიფო ტერიტორია/ქვეყანა „ცოცხალი ორგანიზმია“, რომელიც განიცდის ევოლუციას და ამ განვითარების შედეგად ქართლი გადაიქცა საქართველოდ.

ქართლის (იბერიის) მეფე-ერისთავთა დინასტიური წარმომავლობა (წერილობითი წყაროების კვლევა-ძიებათა – ფიქციიდან არაფიქციისკენ)

ვლადიმერ ჭელიძე

ქართული საისტორიო თხზულებები „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ ქრონოლოგიური და გენეალოგიური თანამიმდევრობის მიხედვით აღწერს ადრეული პერიოდის ქართლის (იბერიის) მეფე-ერისთავთა მოღვაწეობას. ინტეგრირებულ კვლევა-ძიებათა, კერძოდ, გრაფიკულ ცდომილებათა გასწორებისა და ტექსტობრივ სხვაობათა მიგნების, იდეოლოგიურ სახეცვლილებათა წარმოჩენისა და მწიგნობრულ ჩანართთა (ლიტერატურული ფიქციის) გამოცალკევების შედეგად ისტორიულ პირთა სიაში მეფე-ერისთავთა სამი დინასტიური შტო გამოვლინდა.

პირველ მეფეთა სახელები მ ი რ ვ ა ნ (არიან, იარედოს) და ა რ ს ო კ (აზო[რკ], აზონ) სამშვილდის ერისთავთა საგვარელო სახელების მსგავსია, რაც მათ საერთო დინასტიურ წარმომავლობაზე მიანიშნებს.

მეფის შემდგომთა სახელები – ს ა უ რ მ ა გ (... მამამძუმის სახლის მთავარი, სამარ მამასახლისი) და ფ ა რ ს მ ა ნ გაერთიანებული ქვეყნის (სამცხე-ქართლისა და ეგრის-სვანეთის) ახალი სამეფო დინასტიის (ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ ნ ი) სახელებად გარდაიქმნა.

ქ ა რ მ ა მ (ქუჯი) და ა რ ტ ო კ (არიკ, როკ, დეროკ, არტაგ, ადერკი) ეგრისის ერისთავთა, ხოლო ორმეფობის ხანიდან სამეფო საგვარელო სახელები გახდა.

საგვარელო სახელებს მეტწილად ერთვის მეტსახელები - ფარსმან ა ვ ა ზ (ფარნავაზ), ფარსმან [ჯ უ ა ნ] (ფარნაჯობ, ფარნაჯომ), ფარსმან კ ა ო ს, ფარსმან ქ უ ე ლ ი. მეტსახელები ზოგჯერ საგვარელო სახელადაც დამკვიდრდა – ბ ა რ ტ ა მ (ბრატმან), ა მ ა ზ ა ს კ, მ ი რ დ ა ტ, ვ ა რ ა ზ - ბ ა კ უ რ (ასფაგურ), ასევე – რ ე ვ მ ა რ თ ა ლ ი (რევ[ნიზ], რევ), ვ ა ჩ ე .

არსებული საისტორიო მონაცემების დეტალური განხილვა პირველწყაროთა სავარაუდო ლიტერატურული მოდელის (პირველსახის) აღდგენის, თანადროულ ეპოქათა რეალიების (არაფიქციის) დადგენისა და ისტორიულ პირთა (მეფე-ერისთავთა) ვინაობის დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა.

**აკაკი ჩხენკელის წერილები ბერნიდან და
ჟენევიდან პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე
წარგზავნილი საქართველოს დელეგაციისადმი**

დოდო ჭუმბურიძე

ქართველი სოციალ-დემოკრატები, ისევე როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მოღვაწე სხვა პარტიები (ეროვნულ-

დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სხვ), ერთნაირად არ აფასებდნენ ისტორიულ პროცესებს, არც ერთნაირი პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონიათ, ბევრი გაორებული იყო, მტკიცედ არ ჰქონდა გააზრებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სამწუხაროდ, ამ პარტიების (მათ შორის, სოციალ-დემოკრატებისაც) ბევრი წევრი აღმოჩნდა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული. ყოფილი მმართველი პარტიის წევრები გაცილებით პრინციპულად იცავდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას, ვიდრე სხვა პარტიათა წარმომადგენლები. თუმცა მას ვერ უვიწყებდნენ წარსულს, იმ დროს, როდესაც ეროვნულ საკითხს სოციალურზე დაბლა აყენებდნენ, როდესაც ამ პარტიის ლიდერები ეკამათებოდნენ ილია ჭავჭავაძესა და მისი იდეების დამცველებს. ილიას მკვლევლობასაც სოციალ-დემოკრატების იდეურ ბრძოლას უკავშირებდნენ. ამ პარტიას ბოლომდე „მენშევიკებს“ უწოდებდნენ, თუმცა, დამოუკიდებლობის წლებში ისინი აღარ იყვნენ რუსული მენშევიკური პარტიის წევრები, იმპერიის დანგრევის შემდეგ ეს პარტია ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად იქცა. მისმა ლიდერებმა დიდი როლი ითამაშეს ილიას გზის, მისი მთავარი იდეის – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, აიღეს ევროპული ორიენტაცია და დაიწყეს სახელმწიფო სტრუქტურების მოდერნიზაცია, სიკვდილამდე, დევნილობაშიც აკრიტიკებდნენ რუსეთს, მოუწოდებდნენ ევროპას საქართველოს მფარველობისკენ, გული სტკიოდათ, რომ ამას ვერ აღწევდნენ. აკაკი ჩხენკელი ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიის ერთ-ერთი პრინციპული წევრი, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეის ბოლომდე დამცველი და ერთგული იყო.

თუ როგორ უყურებდა აკაკი ჩხენკელი ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკას, მათ თვალსაზრისს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, კარგად ჩანს ბერნიდან და ჟენევიდან პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციისადმი გაგზავნილ მის წერილებში (გაგზავნილია სულ 14 წერილი). ამ წერილებიდან ასევე კარგად ჩანს, თუ რა დიდ როლს თამაშობდა ის დელეგაციის მუშაობაში, როგორ ეხმარებოდა მას პოლიტიკური განცხადებების გაკეთებასა და დოკუმენტაციის შედგენაში.

ჩხენკელი დელავდა პარიზის კონფერენციაზე შექმნილი საქართველოს საკითხის გაურკვეველობის გამო, როგორც კი იპოვიდა პარიზში წამსვლელ სანდო ადამიანს, ქართველსა თუ უცხოელს, ქართულ დელეგაციას წერილებს უგზავნიდა და თავის მოსაზრებებს უზიარებდა. ის შიშობდა, ევროპის სახელმწიფოებს ქართველების ზურგს უკან არ გადაეწყვიტათ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ბედი, ურჩევდა თანამემამულეებს დამოუკიდებლობის საკითხზე პლებისციტის ჩატარებასაც დათანხმებოდნენ. წერილების ნაწილი ეხებოდა საქართველოს საზღვრებს, რომელიც უნდა განხილულიყო სამშვიდობო კონფერენციაზე. დოკუმენტი პავლე ინგოროყვას მიერ იყო შედგენილი და მთავრობის წევრთაგან შემოწმებულ-შეჯერებული. საზღვრების დადგენის საკითხში დიდი როლი ითამაშა დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა.

ჩხენკელის წერილებში საუბარი იყო რუსულ პროპაგანდაზე საქართველოსა და კავკასიის წინააღმდეგ, ჩხენკელი დელეგაციას ურჩევდა პრესაში გააქტიურებას, ზურაბ ავალიშვილისა და ნაცნობი ფრანგების გამოყენებას. წერილების დიდი ნაწილი ეთმობოდა ეროვნული პრობლემისადმი ქართული დელეგაციის არასწორი მიდგომის კრიტიკას, ჩხენკელი მთავრობას ურჩევდა დაბრუნებოდნენ სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ფიქრსა და ზრუნვას, გამოეყენებიათ მათ თანაპარტიელებზე უფრო

მცოდნე და ჭკვიანი ე.წ. „ბურჟუაზიული“ წრის წარმომადგენლები, შეეგნოთ, რომ ევროპაში ისინი თავიანთ პარტიას კია არა, სახელმწიფოს წარმომადგენდნენ.

დიპლომატი არცერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, მათ შორის პირად ურთიერთობებს, რომ საქართველოს თემა არ მიეტანა ევროპელი პოლიტიკოსების, პრესისა თუ კულტურის მუშაკთა ყურამდე, არ ეცადა მათი ჩართვა საქმეში და საქართველოს სასიკეთო პოზიციისთვის მხარდაჭერა არ მოეპოვებინა. ის ხვდებოდა, რომ პირად ადამიანურ ურთიერთობებსაც შეიძლებოდა რაღაც სარგებლობა მოეტანა, ზეგავლენა მოეხდინა ევროპის დიდ სახელმწიფოთა მთავრობების წევრებზე, პარიზის კონფერენციის ხელმძღვანელობაზე.

ჩხენკელის მიერ ბერნიდან და ჟენევიდან პარიზში გაგზავნილი წერილები ნათელყოფს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მტკიცე ევროპულ ორიენტაციას, ქართველი ხალხის ევროპულ თანამეგობრობაში ჩართვის სურვილს.

მიქაელ ფსელოსი სვიმეონ მეტაფრასტის შესახებ

ეკა ჭყოიძე

სვიმეონ მეტაფრასტი X – XI საუკუნეების ცნობილი ბიზანტიელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. მას ეკავა იმპერიის ლოგოთეტის თანამდებობა, რის გამოც არც თუ იშვიათად ამ ზედწოდებითაც იხსენიება. მის სახელს უკავშირდება შუა საუკუნეების ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული პროცესი, როგორც არის ჰაგიოგრაფიული ტექსტების გადამუშავება / დახვეწა / რედაქტირება. მისი თანამედროვეების მიერ ეს ტექსტების თარგმანად, ანუ მეტაფრასტად იქნა სახელდებული, ხოლო ქართული წყაროებში მოხსენიებულია როგორც ჰაგიოგრაფიული თხზულებების „გამშვენება“. სვიმეონის ბიოგრაფია ცნობების სიმწირის გამო ბურუსითაა მოცული. ამ საკითხზე XI საუკუნის ორი საგულისხმო წყარო არსებობს: 1. ბერძნულენოვანი (მიქაელ ფსელოსის) და 2. ქართული (ეფრემ მცირის). ქართული სამეცნიერო წრეებისთვის ეს უკანასკნელი კარგადაა ცნობილი. აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ ის რუსულ თარგმანთან ერთად გამოაქვეყნა, საიდანაც ჩანს, რომ ფსელოსის ტექსტს ის იცნობს, მაგრამ მას საერთოდ არ მიმოიხილავს. ფსელოსის „ენკომია სვიმეონ მეტაფრასტისთვის“ კრიტიკულად ბოლო პერიოდში გამოიცა მის სხვა ჰომილიებთან ერთად (Fischer E. A., *Michaelis Pselli Orationes Hagiographicae*, Stuttgart – Leipzig 1994, გვ. 269-288).

მეტაფრასტულმა მიმდინარეობამ განსაკუთრებული გამოძახილი და მხარდაჭერა ჰპოვა ქართულ რეალობაში და რაც ყველაზე საინტერესოა, თავად სვიმეონის სიცოცხლეშივე. ამაზე მიუთითებს: 1. მეტაფრასტის კრებულიდან, რომელსაც მენოლოგიონი ეწოდება, უამრავი ჰაგიოგრაფიული ტექსტის თარგმნა; 2. საკუთრივ ქართულად ორიგინალური მეტაფრასტული „ცხოვრებების“ შექმნა; და 3. ეფრემ მცირის საგანგებო ინტერესი, რაც გამოვლინდა სვიმეონისა და მეტაფრასტული ლიტერატურისადმი ზემოთ მოხსენიებული თხზულების შექმნაში (მოკლედ „მოსახსენებელი“ ეწოდება, ხოლო სრული სათაურია „მოსაჯსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოლოთეტისა და თხრობად მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“). ამ კონტექსტის გათვალისწინებით სვიმეონ მეტაფრასტზე დაწერილი ბერძნულენოვანი ტექსტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მოხსენებაში დაწვრილებით მიმოვიხილავთ და წარმოვაჩინთ ამ თხზულებას და შევეცდებით ეფრემ მცირის „მოსახსენებელთან“ გარკვეული პარალელების გავლებას.

ასევე, მიმოვიხილავთ მეტაფრასტული მიმდინარეობისადმი მიძღვნილ იმ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას, რაც ბოლო 20 – 25 წლის განმავლობაში გამოიცა და წარმოაჩენს ზოგადად შუა საუკუნეების ფილოლოგიის განვითარებისთვის ამ მნიშვნელოვანი მიმდინარეობის განსაკუთრებულ როლსა და დამსახურებას.

კლარჯული მრავალთავის (A-144) XV – XVI საუკუნეების მინაწერებში გამოვლენილი ორი უცნობი ლექსი

თემო ჯოჯუა

1. X საუკუნეში გადაწერილი კლარჯული მრავალთავი მოგვიანო პერიოდში ტაოში მდებარე კავკასიძეების ციხის ეკლესიაში ინახებოდა. ხელნაწერს დართული აქვს XV-XVI საუკუნეების ოცამდე მინაწერი, რომლებიც უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის ისტორიული ტაო-კლარჯეთის წარსულისა და სიძველეების შესახებ. ეს მინაწერები წაკითხული და გამოცემულია ვალერი სილოგავას მიერ, თუმცა ისინი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შესწავლილი არ ყოფილა.

კლარჯული მრავალთავის მინაწერების შესწავლა აჩვენებს, რომ ორი კოლოფონი, რომლებიც ვალერი სილოგავას პროზაული ფორმით ჰქონდა წაკითხული და გამოცემული, სინამდვილეში, ლექსებს წარმოადგენს.

2. კლარჯული მრავალთავის 51r-ის ქვედა არშიაზე შესრულებულია მხედრული კოლოფონი, რომლის პირველი ნაწილიც თექვსმეტმარცვლიანი რუსთველური შაირით გადმოცემულ ლექსს, ხოლო მეორე ნაწილი პროზაული ფორმის სავედრებელს წარმოადგენს:

*„ქ. ღმერთო და მისნო წმიდანო, რაცა მიჯობდეს, მიყავით, /
ჯელი მარჯუნა მომკიდეთ, პირი სამოთხით მიყავით“.* /
*მე, ცოდვილსა, მე, ყოვლისა კაცისაგან უცოდვილესს[ა], / მე, მემეძავსა, მე,
მემრუმესა, მე, ანგარსა, [-----] [და]/მიწერია. გ[ე]ვედ[რებით], შენდობა მიბძანეთ,
მადლია“.*

3. კლარჯული მრავალთავის 51v-ის ქვედა არშიაზე შესრულებულია მხედრული მინაწერი, რომელიც საუფლო ლოცვის „მამაო ჩუნოს“ გალექსილ ვარიანტს წარმოადგენს. ლექსი, მის ტექსტში ანმეტობის გზით გაჩენილი ზედმეტი გრაფემების ამოღებისა და დამწერის მიერ გამოყენებული ე. წ. მაჩხიტისძის ჩინის ტრადიციული ჩ-ით ჩანაცვლების შემდეგ, ასეთი სახით იკითხება:

*„ქ. რომელი მყოფ ხარ მაღალთა შინა, სახელწმიდაო მამაო ჩუნო, /
ვითარცა ზეცით, ეგრეცა ქუეყნით, პურს არსებითა მომცემო ჩუე||ნო, ||
მოვედინ სუფევა, ყავ ნება შენი, რომ სატანასა არ შემაჩუნო, /
და განსაცდელსაცა ნუ შემეყვანებ, ბოროტთა მიქსენ, მამაო ჩუნო“.*

4. კლარჯული მრავალთავის მინაწერებს შორის გამოვლენილი უცნობი ლექსები ქალების მიერ არის შესრულებული და, სავარაუდოდ, მათ მიერვეა შეთხზული. ამ ქალებიდან ერთ-ერთია XV საუკუნის II ნახევარსა და XVI საუკუნის დასაწყისში მოღვაწე შვენიერ კავკასიძე, რომელსაც მეორე ლექსი ეკუთვნის.

კლარჯული მრავალთავის ფურცლებზე გამოვლენილი ლექსები მრავალმხრივ მსგავსებას ავლენს ვანის ქვაბების მონასტრის ერთ-ერთი ეკლესიის კედლებზე მიწერილ XV-XVI საუკუნეების ლექსებთან, რომლებიც, აგრეთვე, ქალების მიერაა შესრულებული.

არარატის ქვეყნის ორბელიანები

ჰაიკ ჰაკობიანი

ორბელიანების თავადურმა გვარმა განსაკუთრებული როლი შეასრულა სომხეთისა და საქართველოს ისტორიაში. ორივე ქვეყანაში მათ ძალიან მაღალი თანამდებობები ეკავათ და დიდი წვლილი მიუძღვით მდიდარი მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის დატოვებაში ტაძრებისა და ხელნაწერების სახით. უკვე დიდი ხანია, რაც ორბელიანების ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით სომხურ და ქართულ ისტორიოგრაფიაში ცხარე კამათი მიმდინარეობს. აღნიშნული საკითხი, ისევე როგორც სხვა სომხურ-ქართულ ისტორიულ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, პოლიტიზებულია და ხშირად თან ახლავს ცრუ პატრიოტიზმი და, რა თქმა უნდა, ცრუ მეცნიერული გამოვლინებები.

მოხსენებაში შეძლებისდაგვარად ვეცადეთ არ გამოგვევლინა მსგავსი ანტიმეცნიერული მიდგომები და წარმოვადგინოთ მსჯელობას მხოლოდ ობიექტურ ფაქტებზე დაყრდნობით.

ჩემი მოხსენება არის კიდევ ერთი მცდელობა ორბელიანების წარმოშობის დადგენისა და ამ გვარის სომხეთის შტოს მოღვაწეობის აღწერისა ახლად აღმოჩენილი ლითოგრაფების, მატენადარანის ხელნაწერებისა და ამ ხელნაწერებში არსებული მინიატურების კომბინირებით.

კვლევა გვაჩვენებს, რომ ორბელიანთა თავადობა ვრცელდებოდა არა მხოლოდ სიუნიქის რეგიონში, არამედ XIII – XIV საუკუნეებში ასევე ეკავა წარსულში სომეხ მეფეთა სატახტო ქალაქად მიჩნეული არარატის ველის თითქმის ნახევარი. იმავე XIII-XIV საუკუნეებში ორბელიანთა სომხეთის შტოს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა საქართველოსა და ქართულ პოლიტიკურ ელიტასთან.

ამგვარად, წინამდებარე მოხსენებაში ორბელიანთა თავადური გვარის საფუძვლიანად და აპოლიტიკურად წარმოდგენის მცდელობა ჩატარდა ახლად აღმოჩენილი ლითოგრაფებისა და ხელნაწერი მასალების საფუძველზე.

Some Examples of Cooperation between Persia and Georgia

Giuli Alasania

Iranian civilization is the only one which has ceaseless ties with the Georgian civilization. A long history of relations between Persia and Georgia preserves a negative (invasions, establishing control, the abolishment of royal power mostly in eastern Georgia) as well as a positive (cultural interaction, adoption of state institutions, participation in the same political alliance, trade, protection) experience.

The present paper considers some cases of cooperation between Iran and Georgia, determined by the geopolitical factor, which did not change regardless of changing dynasties in Iran. One can mention the cases of the king of Kartli, Parnavaz (early 3rd century BC) who adopted the state structure from Achaemenid Persia, and the most distinguished medieval king of Georgia, David the Builder, for whom a sample for a state structure was the Seljuk Empire.

The alliance between eastern Georgia and Iran in times of Ilkhans in the 13th-14th cc. was combined with an alliance with Catholic Europe, since they frequently had common interests (for example, Egypt), although Europe was not homogenous in all these cases.

In 1328 the Pope abolished bishopric in Smirna, transferred it to Tbilisi and subdued it to the Sultaniye archbishopric, which was established in 1318. By that time the Sukhumi bishopric, also established in 1318, was already in its subordination.

The joint participation of the Georgian kings and rulers and Akkoyunlu rulers (Uzun Hasan) in attempts to establish anti-Ottoman coalitions was followed by the same tradition continued and initiated by the Safavid shahs (Shah Ismail, Shah Tahmasp, Shah Khudabanda, Shah Suleyman) as well as by Europeans (Charles V, Philip II, Polish kings Stephen Bathori, John Sobieski), Georgians (the king of Kartli Simon, the king of Kakheta Teimuraz, Vakhtang V backed up by Persia, etc).

During the 16th – 17th cc. when the Black Sea was closed for navigation by the Ottomans, the Georgian territory was used as a transit land for transferring silk from Persia and India to Europe. An agreement signed between Georgia and Persia in May 1714 considered trade between France and Persia via Georgia and the Black Sea. The paper introduces some examples of cooperation until today.

The Use of the Past and the Memory of the Great War in Different Regions of Europe

Andrea Carteny

The paper aims to explore contexts and tools in the use of the past among different national memories of the Great War and his aftermaths. In fact, the paradigm “first (State) War then (National) Revolution” is well employed even by national minorities: so in different cases of national history and of Nation-State the consequences of the Great War – victory from one side, defeat from the other side, or maintaining the neutrality too – are differently considered by the opposite sides. These ideological and historiographical aspects emerged with a nationalist revival in the centennial of the Great War. The cases figured out in this paper are about the Great War memory after 100 year in Transylvania (with both Romanian and Hungarian opposite story-telling) and in Catalonia (with the Catalan national claim against the Spanish State).

Discussing Some Principles and Practices of History Writing in Medieval Georgia

Mariam Chkhartishvili

The paper examines evidences on Erismtavari (presiding prince) Stephanos I (the ruler of Georgian polity in 6th – 7th cc) which are available in two principle monuments of Georgian medieval historiography: *The Conversion of Kartli* and *The Life of Kartli* - a collection of historical writings. They depict personality of Stephanos I differently: according to former Stephanos was a great ruler, believer, builder of the main church of the country – Church of Cross; according to the latter he was infidel and had not built any of the churches and even more: did not add anything to already existed ones. Thus, the monuments under the analysis are providing mutually exclusive information. Which one is reliable?

The inquiries show that historical truth is on the side of *The Conversion of Kartli*. At least it is correct regarding the Stephanos' contribution in building of Church of the Cross. But

why Juansher Juansheriani – the author of the compilation containing the evidences on Stephanos I – depicted him so negatively? For solving this problem one should consider two presuppositions: Juansher Juansheriani had borrowed his information from incorrect sources; he had intentionally misinterpreted the sources because of political motivations. The research has revealed facts making obvious that the preference should be given to the second, i.e. meta-historical explanation: Juansher Juansheriani represented centrifugal feudal opposition which felt deep dispathy to the rulers like Stephanos I who had ambition to be considered as a hair of powerful Georgian kings and full suzerain of his subjects, including the highest stratum of feudal aristocracy to which belonged Juansher Juansheriani himself.

The provided case study is considered in the wider context of pre-modern Georgian historical writing; in particular the issues of objectivity, representation style, plurality of opinions, attitudes to sources etc are concerned. In result some characteristics of medieval Georgian historiography has been identified.

The Rights and Duties of Zimmi Armenian Subjects of Safavid Iran according to the Persian Documents of the Matenadaran

Kristine Kostikyan

The information of the Persian documents (decrees and shar'i documents) of the Matenadaran allows us to get a full understanding of the rights and duties of the Armenian zimmi living in the Safavid state.

The basic laws regulating the life of Armenian population living within the borders of Safavid Iran were formulated in the pacts concluded with them on behalf of Prophet Muhammad and Caliph 'Ali (one of the oldest copies written in Kufic script was kept in ChehelSutun palace in Isfahan) which were in circulation in their late versions. According to these pacts, the Armenians were zimmi who had to pay jizya for their faith and therefore could live safely in accordance with their religious rules under the protection of the Moslem rulers; they were not to be forced to adopt Islam, no encroachment was allowed as regards their property and life, they could repair their churches and be free from military service.

The details in the zimmi's rights referring to the private property, payment of jizya, restoration of churches, performing religious services and ceremonies, may be followed in the Safavid royal decrees confirming fatvas and misals: the decisions of Muslim high clergymen theologians and jurists on various particular matters. These decrees were obtained by the Catholicoses of St. Etchmiadzin in the seventeenth century to protect the rights of the Holy See and the Armenian population from unlawful actions of local officials. They were especially needed in the second half of the seventeenth century during increased religious intolerance and persecutions of Non-Moslems in Safavid state.

One of the main laws affecting the state of the Armenian subjects of Safavid state was the Shiite law on inheritance, according to which the Muslims or jadid al-Islams could inherit the whole property of their dead Armenian relatives no matter how distant their kinship was. This law was put in circulation by Shah Abbas the I's decree in late 1620-s and was reflected in many decrees and shar'i documents kept in the Archive of the Matenadaran issued on various cases. The law had a destructive effect on the state of Armenian people under Persian rule resulting in mass conversion of Armenians to Islam.

Leonidas. The Myth and the Reality

Ryszard Kulesza

Today Leonidas (c. 488 – 480 B.C.), the “fearless leader” at Thermopylae, is the most generally familiar Spartan king. Leonidas is often considered to be an ideal Spartiate. His role in the entire Thermopylean episode is often overestimated, and the incidents are reviewed in terms of Leonidas’ personal decisions. Favourable opinions dominate in both the popular perception and the scholarly discourse. Leonidas is an unquestionable “noble hero”. The figure of Leonidas is also associated with many misunderstandings. Lodged at the very centre of those is, of course, the “beautiful defeat” at Thermopylae, where Leonidas, then fifty to sixty years of age, “like Achilles, bought himself a short life but immemorial glory”. At the basis of a variety of those misunderstandings is, naturally, our shortage of information regarding Leonidas, which results in, among other things, a certain liberty in employing his figure in reviewing various scenarios of past events. This shortage of information dating from Antiquity is surprising for at least two reasons. It might seem that such an illustrious personage, a man very famous by the standards of the ancient times as much as by those of our own, should have received more attention on the part of ancient Greeks. The author would like to say somewhat about the *Nachleben* of Leonidas.

Sacred Spaces as a New Historical Source: A Hierotopic Approach

Alexei Lidov

